პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 65 (9841) | ოთხშაბათი, 17 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (1-ლი გვერდი).
მოსკოვში ლიტვის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა საბოლოო კონცერტი (1-ლი გვერდი).
გ. ჯაფარიძე. — ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის და ნეშომპალის ქოთნებში (მე-2 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე. — ოთხი წლის წინათ ეს არ ყოფილა (მე-2 გვერდი).
მოსკოვი (მე-2 გვერდი).
სასკოლო მუშაობა — ახალი ამოცანებისა [illegible] (მე-3 გვერდი).
რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად. — პერეიასლავ-ხმელნიცკში (მე-3 გვერდი).
მოწინავე მაღაროდ მისი წინსვლის გზა (მე-3 გვერდი).
ფელეტონი. — მისი სიტყვა და საქმე... (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავეში ჩავუდგეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას

კომუნისტური პარტია, დიდი ლენინი და მისი საქმის ღირსეული განმგრძობი ი. ბ. სტალინი მუდამ მიგვითითებდნენ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ძლევამოსილების საფუძველია მასების შეგნებული შემოქმედებითი შრომა, რომ კომუნიზმი წარმოიქმნება ამ შრომის შედეგად. ამიტომ არის, რომ პარტია ყოველთვის მოგვიწოდებს განვამტკიცოთ კავშირი მასებთან, უნარიანად ვუხელმძღვანელოთ, ფართო გასაქანი მივცეთ მათს შემოქმედებითს ინიციატივას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მთელი სიცხადით დაგვანახვა არა მარტო ის, რომ მტკიცე და ურღვევია ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა დიადი კავშირი, სალ კლდეზე უმტკიცესია ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობა, მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დაარაზმულობა შრომელიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო, არამედ ამასთან მკაფიოდ გამოავლინა მასების შემოქმედებითი ინიციატივის ცხოველმყოფელობა და შრომითი შემართების ძალა.

საამაყო მაჩვენებლებით აღნიშნეს არჩევნების დღე რუსთავის მეტალურგებმა და ჭიათურის მაღაროელებმა, ტყიბულელმა და ახალციხელმა მეშახტეებმა და თბილისელმა ჩარხმშენებლებმა, ფოთელმა რკინიგზელებმა და ბათუმელმა მენავთობეებმა, სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა.

საგულისხმოა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის მაგალითი. თებერვალში ქარხნის კოლექტივმა გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწია, გადაჭარბებით შეასრულა მთელი მეტალურგიული ციკლის თვიური დავალება და გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით მოგვცა ფოლადი, ლითონის მილები. იგივე კოლექტივი წინა თვეებში გეგმას ვერ ასრულებდა, ვერ ახერხებდა შეფერხებათა თავიდან აცილებას. 1953 წელს რუსთავის მეტალურგებმა ფოლადის გამოდნობის გეგმა შეასრულეს 94,1 პროცენტით. მზა ნაგლინის გამოშვებისა — 97,5 პროცენტით, ხოლო მილების გამოშვებისა — მხოლოდ 32,2 პროცენტით. ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მათ შეძლეს უფრო მაღალი ტემპის აღება, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის სრულად გაშლა. საქართველოს კომუნისტების XVI ყრილობაზე გამოვლინებულ იქნა მეტალურგების ჩამორჩენის გამომწვევი მთელი რიგი სერიოზული მიზეზები. ეს მიზეზები იყო — საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის სისუსტე, ნაკლოვანებანი წარმოების ორგანიზაციაში, ტექნიკური სწავლების, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, მასების შემოქმედებითი ინიციატივისათვის ფართო გასაქანის მიცემის მნიშვნელობის უგულებელყოფა და ა. შ.

მეტალურგიული ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ბოლო ხანებში გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, ბეჯითად შეუდგნენ წარმოების წინსვლის შემაფერხებელი მიზეზების ლიკვიდაციას, ჩაუდგნენ მასებს სათავეში, მხარი დაუჭირეს მათს ინიციატივას. მასების შემოქმედებითმა ინიციატივამ გამოვლინება ჰპოვა მარტენის საამქროს კოლექტივის ახალ წამოწყებაში — ყველა პროფესიისა და უბნის მეტალურგებს შორის სოციალისტური შეჯიბრების კომპლექსურად მოწყობაში. ამას მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. შეჯიბრება გაჩაღდა, და ამის შედეგად თებერვალი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვებით აღინიშნა.

ეს მაგალითი მოწმობს იმასაც, რომ ახლა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მასებში ამაღლდა და გაძლიერდა საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, მუშაობის განუხრელი გაუმჯობესების სულისკვეთება, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა შესრულებისათვის მზადყოფნა. ამ ვითარებაში განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მუდამ იყვნენ მასების სულისკვეთების მესაიდუმლენი, შეუნელებლივ იზრუნონ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისა და განვითარებისათვის.

პარტია გვასწავლის, რომ სოციალისტური შეჯიბრება მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე გაჩაღებული ახალი ცხოვრების ძლევამოსილი მშენებლობის კომუნისტური მეთოდია. პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხზე, მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღლოიანად მოწყობაზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური შეჯიბრების წარმატება.

ამას წინათ ტყიბულელმა მეშახტეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად წამოიწყეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს გადიდებულ საწარმოო დავალებათა შესრულება 1954 წელს ქვანახშირის მოპოვების გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად. გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ტყიბულელთა ამ წამოწყებას მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის სხვა საბადოთა კოლექტივები. იმ ვალდებულებებში, რომლებიც საქართველოს მეშახტეებმა იკისრეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას. მთავარი ახლა ის არის, რომ არ შევანელოთ შეჯიბრების ტემპი, შემდგომ უფრო გავაძლიეროთ, უფრო მასობრივი გავხადოთ იგი. საქართველოს კომუნისტების ყრილობაზე აღინიშნა ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელი საჭიროება და ამავე დროს ითქვა, რომ ქვანახშირის მოპოვების ზრდას აბრკოლებს შრომის მოუწესრიგებლობა, ციკლურობის ნორმატივების შეუსრულებლობა, მუშახელის დენადობა, რაც გამოწვეულია ცუდი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით.

ქვანახშირის მრეწველობის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი, საბრძოლო ამოცანაა უნარიანად წარმართონ მეშახტეთა მასების შრომითი აქტივობა, შეუქმნან მათ ყველა პირობა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, იზრუნონ მიწისქვეშა სამუშაოებზე მყოფთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ფართო გასაქანი მისცენ თვითკრიტიკას და განსაკუთრებით კრიტიკას ქვემოდან.

ის, რაც მეტალურგებისა და მეშახტეების შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების მუშაობასაც. თბილისელმა მეავეჯეებმა წამოიწყეს შეჯიბრება მაღალხარისხოვანი, ლამაზი და იაფი ავეჯის სიუხვის შექმნისათვის, ერთმანეთს ეჯიბრებიან ოამბაქოს ფაბრიკების კოლექტივები, ფეიქრები, მეფეხსაცმელეები, ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები.

სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია ყოველი საშუალებით შეუწყონ ხელი ამ მასობრივი შეჯიბრების შემდგომ გაძლიერებას, მხარი დაუჭირონ მასების ინიციატივას და გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ხალხის წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად, ჩვენს ქვეყანაში ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვის შესაქმნელად.

ფართო გასაქანი მივცეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, უნარიანად ჩავუდგეთ მას სათავეში და წარვმართოთ 1954 წლის გეგმების ვადამდე შესასრულებლად, არჩევნების შემდგომს პერიოდში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲚᲘᲒᲕᲐᲨᲘ

დუსეტოსი, (ლიტვის სსრ). (საკდესი). მდინარე შვენტოიის ნაპირზე დაიწყო მძლავრი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის „ანტალეპტეს“ მშენებლობა.

ელექტროსადგური „ანტალეპტე“ ყველაზე დიდი იქნება ლიტვის სასოფლო ჰიდროელექტროსადგურებს შორის. მისი დაპროექტებული სიმძლავრეა 2.620 კილოვატი. სადგურთან შეიქმნება მუდმივი დაბა საცხოვრებელი და საწარმოო შენობებით. წყალსაცავი დაიკავებს 1.900 ჰექტარს. მშენებლებს შესასრულებელი აქვთ დიდი სამუშაოები.

ახალი სადგურის ელექტროენერგიას მიიღებს ოთხი რაიონის 72 კოლმეურნეობა, 3 რაიონული ცენტრი, 8 საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი, ადგილობრივი მრეწველობის 18 საწარმო.

ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ

კვირას, 1954 წლის 14 მარტს, მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმოებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

არჩევნების მოსაწყობად შექმნილი იყო 1.347 საარჩევნო ოლქი, აქედან კავშირის საბჭოს არჩევნებისა 708 ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისა 639 ოლქი.

არჩევნები მოხდა ყველა საარჩევნო ოლქში. ხმის მიცემა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით და დამთავრდა ღამის 12 საათზე.

საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ცნობებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 120.321.192 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,98 პროცენტს.

წინასწარი ცნობებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც დაასახელა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა, ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა 99 პრაცენტზე მეტმა. ამრიგად, კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა ამ არჩევნებში სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მთელ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი პოლიტიკური აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

1954 წლის 18 მარტს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შესაძლებლობა ექნება გამოაქვეყნოს არჩევნების საბოლოო შედეგები და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა პერსონალური სია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

1954 წლის 16 მარტი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

15 მარტს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა მოსკოვში ლიტვის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა საბოლოო კონცერტი.

დიდი და მრავალფეროვანი პროგრამა შედგებოდა მუსიკოსთა, მოცეკვავეთა კოლექტივების, ვილნიუსისა და კაუნასის თეატრების, ფილარმონიის, რადიოს სოლისტების, აგრეთვე რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა გამოსვლებისაგან.

კონცერტი დაიწყო კომპოზიტორ ბ. დვარიონასის საზეიმო სიმღერით „სალამი მოსკოვს“ პოეტ ტ. ტილვიტისის სიტყვებზე. სიმღერა შეასრულეს ლიტვის სსრ ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა ლიტვის სსრ სახალხო არტისტმა ა. სოდეიკამ, ლიტვის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. მაეეიკამ, ი. სტასიუნასმა, რ. სპპარისმა, ვ. ინდრიკონისმა, რ. მარიოშიუსმა, ლ. მურაშკომ, ზ. პაულუსკასმა, ვ. რუბაკისმა, ი. ურვიალისმა, კ. შილგალისმა, სახელმწიფო ფილარმონიისა და რესპუბლიკის რადიოს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გაერთიანებულმა გუნდმა, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და რესპუბლიკის რადიოს გაერთიანებულმა ორკესტრმა. დირიჟორობდა ავტორი.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ოპერის თეატრის სოლისტს ი. პეტრაშკევიჩიუტეს, რომელმაც შეასრულა ნათლიდედის არიოზო ჩაკოვსკის ოპერა „ჯადოსნიდან“ და ტალტ-კელპშის სიმღერა „ჩემს სულში დღეს დღესასწაულია“, იმავე თეატრის სოლისტს ლიტვის სსრ დამსახურებულ არტისტს პ. გუტაუსკასს, რომელმაც შეასრულა რუდოლფის არია პუჩინის ოპერა „ბოჰემიდან“. კონჩაკის არია ბოროდინის ოპერიდან „თავადი იგორი“ წარმატებით შეასრულა ლიტვის სსრ ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა გ. ზაბულენასმა.

სოლისტმა ი. სტასიუნასმა აღმოვლობით შეასრულა ხმელნიცკის არია დანკევიჩის ოპერიდან „ბოგდან ხმელნიცკი“ და ახალგაზრდა ბოიარინის სიმღერა ი. კარნავიჩიუსის ოპერიდან „გრაიენა“.

ლიტვის სსრ სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა ს. ვაინიუნასმა ოსტატურად შეასრულა ფორტეპიანოზე ტალტ-კელპშის „ზღაპარი“. ოპერის ახალგაზრდა სოლისტმა მ. ალშაკევიჩიუტემ კარგად შეასრულა დალილას არია სენ-სანსის ოპერიდან „სამსონ და დალილა“ და ტალტ-კელპშის სიმღერა „არა ჭიელი შევარდნები“. ბ. დვარიონასის კონცერტის ფინალი ვიოლონჩოსა და ორკესტრისთვის წარმატებით შეასრულა ფილარმონიის სოლისტმა ა. ლივონტასმა. ოპერის თეატრის მსახიობმა ე. ჩუდაკოვამ გულში ჩამწვდომად იმღერა ვიოლეტას არია ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“. ბალეტის სოლისტებმა ტ. სვენტიცკაიტემ და გ. კუნავიჩიუსმა შეასრულეს ადაჟიო გრუოდისის ბალეტიდან „იუარატე და კასტიტისი“.

შესრულების დიდი ოსტატობა ცხადყო რესპუბლიკის ფილარმონიისა და რადიოს გაერთიანებულმა გუნდმა კ. კავიაკასის დირიჟორობით.

დამსწრეთა მხურვალე ტაში გამოიწვია გუნდის მიერ შესრულებულმა ბ. დვარიონასის სიმღერამ „დაო ლურჯო ვილია“, უკრაინელი კომპოზიტორის ნ. კოლესის „ჰეი, მოჩანს სოფელი“, კომპოზიტორ ვ. მაკაროვის სიუიტიდან „ᲨᲕᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ სიმღერამ, ლიტვურმა ხალხურმა სიმღერამ „ოკეანელისმა“ და რუსულმა ხალხურმა სიმღერამ „ვარიაგის“ დაღუბვა“.

დიდი წარმატებით ჩაიარა ლიტვის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლამ (ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შვიადასი, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ლინგისი, ორკესტრის ჯგუფის ხელმძღვანელი პ. სტეპულისი).

ანსამბლმა შეასრულა მთელი რიგი სიმღერები და ცეკვები: „საკოლმეურნეო ვალსი“ მუსიკა ი. შვიადასისა, ლიტვური ხალხური სიმღერა „ჰეი შენ, იონიალის“, ცეკვები „პასიუტპოლკა“, „ᲟᲘᲒᲣᲜᲐᲡᲘ“, „ᲙᲘᲠᲘᲐᲠᲘᲜᲐ“, პოლონური, „სკუდუჩიაი“, რომელიც ხალხურ ინსტრუმენტებზე დაუკრეს და სხვები.

მაყურებლებმა ინტერესით მიიღეს სიუიტა ლიტველი კომპოზიტორის ი. იუზელიუნასის ბალეტიდან „ზღვის ნაპირას“, დადგმა ბალეტმეისტერ ვ. გრიგიაცასისა, რომელიც შეასრულეს ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა ლ. რუზგაიტემ, ა. ტუმალევიჩიუტემ, რ. იანავიჩიუტემ, გ. ბანისმა და ბალეტის მსახიობებმა.

ლიტვის სსრ სახელმწიფო ხალხური ცეკვის და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გაერთიანებულმა კოლექტივმა კარგად შეასრულა სიუიტა ლიტვური ხალხური ცეკვებიდან: „ᲛᲐᲚᲣᲜᲔᲚᲘᲡᲘ“, „ᲡᲣᲙᲘᲢᲜᲘᲡᲘ“ და „ᲠᲣᲒᲣᲩᲘᲐᲜᲘ“ ი. ლინგისის დადგმით.

ლიტვის სსრ სედასის რაიონის კოლმეურნეობა „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲔᲚᲘᲝᲡᲘ“ („ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ“) გუნდმა, მოცეკვავეთა ჯგუფმა და ორკესტრმა (ხელმძღვანელები: გუნდისა ვ. ვინდაშიუსი, მოცეკვავეთა ჯგუფისა ბ. როზგაიტე, ორკესტრისა ე. პილიპაიტისი) შეასრულეს ლიტვური ხალხური სიმღერები „მზე ამოდის“ და „ჩიბის, ჩიბის“, ფერხული „ᲙᲚᲔᲕᲔᲠᲝᲙᲝ“ და ცეკვა „ᲙᲚᲣᲛᲞᲐᲙᲝᲜᲝ“. ეს სიმღერები და ცეკვები მაყურებლებმა ულმობილად მიიღეს.

სალომე ნერისის ლექსი „ჩემი მხარე“ გულთბილად წაიკითხა კაუნასის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობმა ზ. რასტეიკიტემ. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტის ი. რუძინსკასის მიერ ბ. რეშერისის ლექსის „ᲫᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ“ შესრულებას.

კონცერტის დასასრულს გამოვიდა გაერთიანებული გუნდი ლიტვის სსრ ოპერის თეატრის, რესპუბლიკის ფილარმონიის, რადიოს გუნდების, ლიტვის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, კაუნასის ფაბრიკა „კაუნო აუდინიაის“, ვილნიუსის უნივერსიტეტისა და კოლმეურნეობის „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲘᲠ ᲒᲖᲘᲗ“ თვითმოქმედი კოლექტივების შემადგენლობით. ორკესტრთან ერთად ვუნდმა შეასრულა ბ. დვარიონასის სიმღერა „ნემანის ნაპირზე“. ამ სიმღერით საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში ლიტველი ხალხის ბედნიერი ცხოვრების შესახებ მთავრდება ლიტვის ხელოვნების ღღესასწაული საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში.

კონცერტში ორკესტრს დირიჟორობდნენ ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ბ. დვარიონასი და ა. კლენიცკისი, დირიჟორები ი. ალტერმანი, რ. გენიუშასი და ა. ეიერაიტისი.

პროგრამა მიჰყავდათ მსახიობებს მ. მირონაიტეს და გ. ვრუბლევსკიუტეს.

დიდი თეატრის სცენა მშვენივრად გაფორმა მხატვარმა, ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. პალიმამ.

მოსკოვში ლიტვის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საბოლოო კონცერტი, რომელიც დიდი წარმატებით შესრულდა და რომელიც მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს, მკაფიოდ მოწმობს ლიტველი ხალხის კულტურის აყვავებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურღვევ მეგობრობას.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, მ. ზ. საბაროვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. სნეჩკუსი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გედვილასი, მინისტრები, ქალაქ მოსკოვის პარტიული და საბჭოთა აქტივი, საწარმოთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები. (საკდესი).

საქართველოს სსრ. წყალტუბოში აშენდა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სანატორიუმი. ამჟამად მიმდინარეობს მზადება დამსვენებელთა პირველი ჯგუფის მისაღებად. სურათზე: გზათა სამინისტროს სანატორიუმის შენობა.

ფოტო ბ. ლუცენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲑᲘᲜᲘ

ლენინგრადი, 13 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინადღით, სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის კოლექტივმა დაამთავრა პირველი უნიკალური წყლის ტურბინის წარმოება კუიბიშევის ჰესისათვის.

წყლის ტურბინების ქარხნის ბიუროს მთავარმა კონსტრუქტორმა ნ. კოვალიოვმა საკდესის კორესპონდენტს უამბო:

— კუიბიშევის ჰესისათვის პირველი გიგანტური მანქანის შექმნა მნიშვნელოვანი მიღწევაა ჰიდრომანქანათმშენებლობის მსოფლიო ტექნიკაში. აქამდე მსოფლიოში ყველაზე დიდი და მძლავრი მოსაბრუნფრთებიანი ჰიდროაგრეგატები იყო ვოლგის შჩერბაკოვის ჰიდროაგრეგატები. კუიბიშევის აგრეგატები თავისი ზომით ოდნავ თუ აღემატება შჩერბაკოვის აგრეგატებს, ამავე დროს მათი სიმძლავრე თითქმის ერთიორად მეტია.

ქმნიდა რა პირველ ტურბინს კუიბიშევის ჰესისათვის, რომელიც გაახგარიშებულია 126 ათასი კილოვატი მაქსიმალური სიმძლავრისათვის, ქარხნის კოლექტივი მუშაობდა მეტალურგებთან და ჩვენი ქვეყნის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

დიდი შრომითი გამარჯვებით აღფრთოვანებულმა მელეთინოველებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე დაამზადონ კუიბიშევის მეორე ჰიდროაგრეგატი.

რიაზანის კარტოფილამოსაღები კომბაინები

რიაზანი, 15 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი კარტოფილამოსაღები კომბაინების „კოკ-2“ გამოშვების კვარტალური გეგმის შესრულებით შეხვდა.

ქარხანა შეუდგა საკიდი კულტივატორების გამოშვებას ამ მცენარეების მწკრივთა შორის დასამუშავებლად, რომლებიც დარგულია კვადრატულ-ბუდობრივი წესით. კულტივატორების პირველი პარტია უკრაინისა და ბელორუსიის რაიონებში გაიგზავნა.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲢᲡ-ᲔᲑᲨᲘ

დონის როსტოვი. 15 მარტი. (საკდესი). დღეს დუბენცის ელექტრომტს-მა მიიღო ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის პირველი ექვსი მუხლუხა ელექტროტრაქტორი. ახალი მანქანები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები ძიიღო აგრეთვე მეჩეტნოვსკის ელექტრომტს-მა.

დონზე პირველი ელექტრომანქანატრაქტორთა სადგურები — დუბენცისა და მეჩეტნოვსკისა მალე დაიწყებენ მინდვრის სამუშაოებს. ისინი ციმლიანსკის ჰესის დენს მიიღებენ.

Ი. Მ. ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

ᲒᲝᲠᲬᲘ, 16 მარტი. (საკდესი). დღეს 35 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი.

ამ უკანასკნელ დღეებში სულ უფრო მეტი ხალხი დადის მემორიალურ მუზეუმში, რომელიც მოთავსებულია სახლში, სადაც 1885 წელს დაიბადა იაკობ მიხეილის-ძე. ღირსსახსოვარი თარიღისათვის აქ გაიხსნა ექსპოზიციის ახალი განყოფილებანი.

განყოფილებაში „ი. მ. სვერდლოვი რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში“ ნაჩვენებია მისი მოღვაწეობა ნიჟნი ნოვგოროდსა და ურალში. ბევრი ექსპონატი მიძღვნილია ი. მ. სვერდლოვის ცხოვრების იმ პერიოდისადმი, როცა იგი გადასახლებული იყო ნარიმსა და ტურუხანსკში.

განყოფილება „ი. მ. სვერდლოვი — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე“ სურათებით, დოკუმენტების ფოტოპირებითა და პირებით ასახულია იაკობ მიხეილის-ძის მრავალმხრივი ორგანიზატორული მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

მუზეუმის ექსპოზიციაში მოყვანილია ამონაწერები ი. მ. სვერდლოვის მოხსენებიდან ნიჟნი ნოვგოროდის პარტიული აქტივის კრებაზე პარტიის VII ყრილობის შესახებ და მისი სიტყვა სრულიად უკრაინის საბჭოების III ყრილობაზე 1919 წლის მარტში. ამ სიტყვაში, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე წარმოთქვა, ი. მ. სვერდლოვი მოუწოდებდა რუს და უკრაინელ ხალხებს ძმური კავშირის განმტკიცებისაკენ.

ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის და ნეშომპალის ქოთნებში

კონსულტაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა ფართოდ დაინერგოს წარმოებაში ბოსტნეულ კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის ქოთნებში, რადგან ეს წესი ბევრად ადიდებს მოსავალს და უზრუნველყოფს ბოსტნეულის უფრო მალე დამწიფებას.

ბოსტნეულის ჩითილი მეტად სათუთია. მისგან ჯანსაღი, უხვმოსავლიანი მცენარის მისაღებად საჭიროა ჩითილის მზრუნველობით გამოყვანა, სათანადო სითბოთი, სინათლითა და ტენით უზრუნველყოფა. ამასთან მისი ნორჩი ფესვები მოითხოვს ზედმიწევნით ნოყიერ, ფხვიერ, წყლისა და ჰაერის კარგ გამტარ საკვებ არეს.

ამ ოცი წლის წინათ პროფესორმა ვ. ედელშტეინმა დაამუშავა ახალი პროგრესული ხერხი ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანისა ტორფნეშომპალის ქოთნებში.

ტორფნეშომპალის ქოთნების დიდი უპირატესობა ის არის, რომ ისინი მთლიანად წარმოადგენენ საზრდო არეს მცენარეთა ფესვებისათვის. ამავე დროს საკვები ნივთიერებანი მათთვის ადვილად შესათვისებელია. თვით ქოთნის მასა ფხვიერი, ჰაერისა და წყლის კარგი გამტარია. ამიტომ ჩითილის ფესვი თავიდანვე კარგად იტოტება და უხვად იმოსება შემწოვი ბუსუსებით.

პროფესორ ვ. ედელშტეინის მონაცემებით, ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი ორმოცდღიანი კომბოსტოს ჩითილის ფესვთა სისტემის შემწოვი ზედაპირი 1.200 კვადრატულ სანტიმეტრს უდრის, ხოლო ტორფნეშომპალის ქოთნებში გაზრდილი ამავე ასაკის ჩითილისა — 5.000 კვადრატული სანტიმეტრია. ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ჩითილის გამოყენების მაღალი ეფექტი სწორედ იმით გამოიხატება, რომ მას ფესვთა სისტემა მძლავრად აქვს განვითარებული, გადარგვას უმტკივნეულოდ იტანს, ახალ ადგილზე მისი განვითარება შეუფერხებლად მიმდინარეობს და, მაშასადამე, მოსავალსაც ადრე იძლევა. ადრეული მოსავლის მიღებაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ ჩვეულებრივი წესით გამოყვანილ ჩითილთან შედარებით შესაძლებელია ნეშომპალის ქოთნებში გაზრდილი უფრო მოზრდილი მცენარის გადარგვა. მაგალითად, პამიდორის ჩითილის გადარგვა უკვე შეიძლება, როცა მისი ყვავილები გაიშლება, მაშინ როცა ჩვეულებრივი წესით გაზრდილ ჩითილს ასეთ მდგომარეობაში გადარგვისას ყვავილი არ შერჩება. ამიტომ ამ უკანასკნელის გადარგვა ხდება ყვავილების გაშლამდე. ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი კომბოსტოს ჩითილი 5-6 ფოთლის ფაზაში ირგვება, ხოლო ქოთნებში გაზრდილი 8-ფოთლიანი მცენარეც კი თავისუფლად შეიძლება დაირგოს.

ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ჩითილის გადარგვა ხელს უწყობს მოსავლის არა მარტო ადრე შემოსვლას, არამედ საგრძნობლადაც ზრდის მოსავლიანობას. ეს გასაგებიც არის, რადგან ქოთნის მასა, რომელიც გადარგვის შემდეგ თანდათანობით იშლება ნიადაგში, ხანგრძლივად კვებავს მცენარეს. ამავე დროს ქოთნის მასასთან ერთად ნიადაგში შედის სასარგებლო მიკროორგანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ნიადაგში არსებულ ორგანულ ნივთიერებათა დაშლას და საკვების გადაყვანას მცენარისათვის შესათვისებელ მდგომარეობაში. ამრიგად, ტორფნეშომპალის ქოთნები ერთგვარ ბაქტერიალურ სასუქადაც ჩაითვლება.

ტორფნეშომპალის ქოთნების გამოყენების დიდ უპირატესობას ადასტურებს მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკა. უკვე რამდენიმე წელია, რაც აღნიშნულ მეურნეობაში ფართოდ იყენებენ ტორფნეშომპალის ქოთნებს ბოსტნეულის ჩითილის გამოსაყვანად, და დიდ წარმატებასაც აღწევენ. ი. მალაზოვის მოწინავე ბრიგადამ ტორფნეშომპალის ქოთნებში გაზრდილი ჩითილის გადარგვის გზით ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 423 ტონა ადრეული კომბოსტოს მოსავალი.

ტორფნეშომპალის ქოთნებში გაზრდილ ჩითილს ჩვეულებრივი წესით გამოყვანილ ჩითილთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს არა მარტო ადრეულ ვადაში გადარგვისას, არამედ გვიან ვადებში (ზაფხულის თვეებში) გადარგვისასაც. ზაფხულის გრძელი და ცხელი დღის პირობებში მცენარე დიდი რაოდენობით აორთქლებს წყალს და ამიტომ ახალგადარგული ჩითილი, რომელსაც დაწყვეტილი აქვს ფესვების დიდი ნაწილი, ვერ იღებს ნიადაგიდან მისთვის საჭირო წყალს, რის შედეგად იგი ჭკნება, დიოხანს ვერ ხარობს და ზოგჯერ კიდევაც იღუპება. ტორფნეშომპალის ქოთნებში გაზრდილი ჩითილი კი, რომელიც თავის მიწიანად გადაგვაქვს, ადვილად ხარობს და თითქმის სრულიად არ ცდება.

ქოთნების დასამზადებლად იყენებენ სხვადასხვა მასალის ნაზავს, როგორიც არის, მაგალითად, ტორფი, ნეშომპალა (გადამწვარი ნაკელი), კორდის მიწა, ძროხის ახალი ნაკელი, მინერალური სასუქი და სხვ.

ტორფნეშომპალის ქოთნების მთავარ შემადგენელ ნაწილს დაშლილი ტორფი წარმოადგენს. ამ უკანასკნელს ახასიათებს ფხვიერი შენება, აქვს მინერალური მარილების შთანთქმისადა მცენარისათვის მათი ზომიერად მიწოდების კარგი უნარი.

ქოთნების დასამზადებლად საუკეთესოა არამჟავე, წინა წელს დამზადებული, კარგად დაშლილი ტორფი. შეიძლება მჟავე რეაქციის ტორფის გამოყენებაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მოითხოვს წინასწარ საფუძვლიან დამუშავებას ნაკელთან დაკომპოსტების, კირისა და ფოსფორიტის ფქვილის მიმატების გზით.

ტორფის ბუდობები ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონშია. დასავლეთ საქართველოს ტორფის ზოგიერთი ბუდობი მუშავდება საქართველოს ტორფტრესტის მიერ კომპოსტების სახით, ასეთი კომპოსტები, რომლებსაც ძირითადად იყენებენ სუბტროპიკულ კულტურათა გასანაყიერებლად, შეიძლება აგრეთვე წარმატებით გამოვიყენოთ ტორფნეშომპალის ქოთნების დასამზადებლადაც.

ნეშომპალა, ანუ გადამწვარი ნაკელი (მიწანეზვი), ქოთნების დასამზადებელი ნაზავის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მსხვილმარცვლოვანი შედგენილობის ნეშომპალა ქოთნებს აძლევს სიფხვიერეს, მაშასადამე, უზრუნველყოფს ჰაერის და წყლის კარგ გამტარებლობას. ტორფის უქონლობის დროს ეს უკანასკნელი შეიძლება მთლიანად ნეშომპალით შეიცვალოს.

საუკეთესო ნეშომპალა მიიღება ცხენის ნაკელის გადაწვით. მას ფხვიერი და მარცვლოვანი შენება აქვს, კარგად ატარებს ჰაერსა და წყალს. სხვა ცხოველების (ძროხის, ღორის) გადამწვარი ნაკელი თავისი ღირსებით რამდენადმე ჩამორჩება ცხენის გადამწვარ ნაკელს, მაგრამ მისი გამოყენებაც შეიძლება. შედარებით უფრო მდარე ხარისხისაა ნაგვისაგან მიღებული ნეშომპალა.

მებოსტნეობის მეურნეობაში ნეშომპალის წყაროს წარმოადგენს ახალი ნაკელი, რომელიც კვალსათბურებში სათბობის სახით იყრება. ზამთარში ან გაზაფხულზე კვალსათბურებში გასათბობად ჩაყრილი ახალი ნაკელი შემოდგომისათვის საკმარისად გადამწვარია, მაგრამ იგი კიდევ უფრო კარგად რომ დაიშალოს, საჭიროა მისი შემოდგომითვე ამოღება და ფხვიერ გროვებად დაყრა.

კორდის ანუ ყამირის მიწაც ქოთნის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება მას გოგროვან მცენარეთა გამოსაყვანი ქოთნების დასამზადებლად. კორდის მიწა ქოთნებს სინოყიერესთან ერთად სიმტკიცეს აძლევს. საუკეთესოდ ითვლება მსუბუქი თიხნარი და ქვიშნარი ნიადაგების კორდი, რომელიც დაფარული იქნება მარცვლოვანი და პარკოსანი მრავალწლიანი ბალახების საფარით. მძიმე თიხა და თიხნარი ნიადაგების კორდი ნაკლებად გამოსადეგია, რადგან ასეთი კორდის მიწა მეტად აკვრივებს ქოთნებს და აბრკოლებს ფესვების განვითარებას. თუ მეურნეობის ახლოს მსუბუქი ნიადაგის კორდი არ მოიპოვება, მაშინ ნიადაგის სომეურივის მიხედვით 10-20 პროცენტ ქვიშას უმატებენ.

ძროხის ნაკელი საჭიროა ქოთნის დასამზადებელი ნაზავისათვის წებოვნების მისაცემად. იგი აგრეთვე ზრდის ქოთნის სინოყიერეს. ამ მიზნით იხმარება ძროხის სუფთა, ახალი ნაკელი.

ქოთნის დასამზადებლად ნაზავს, ორგანული წარმოშობის მასალების გარდა, მეტი სინოყიერის მისაცემად, აუცილებელია მივუმატოთ სრული მინერალური სასუქები.

ტორფნეშომპალის ქოთნების დასამზადებლად ტორფსა და ნეშომპალას წინასწარ ატარებენ ცხავში და შემდეგ სხვა მასალასთან ერთად ერთმანეთში ურევენ.

პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილის გამოსაყვანი ქოთნის დასამზადებელ ნაზავად მოსკოვის ახლოს მდებარე მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ქოთნების დამზადებაში, მიღებულია შემდეგი შემადგენლობის ნაზავი: 7 ნაწილი (მოცულობით) კარგად დაშლილი ტორფი, ორი ნაწილი ნაკელის ნეშომპალა, ერთი ნაწილი კორდის მიწა, ერთი ნაწილი ძროხის ნაკელი.

ქოთნების დასამზადებლად ყველა მასალა გაცრის შემდეგ იყრება ვარცლში. ძროხის ახალი ნაკელი ნაზავში შეაქვთ თხიერად, რისთვისაც ის წინასწარ ითქვიფება წყალში (ერთი წილი ნაკელი 4-5 წილ წყალზე). უმჯობესია ნაკელის გათქვეფა თბილ წყალში. ამონიუმის გვარეჯილას და ქლორიან კალიუმს ნაზავში ურევენ ხსნარის სახით, ხოლო სუპერფოსფატსა და კირს (თუ ეს უკანასკნელი საჭიროა) ფხვნილის სახით.

მასალას ერთმანეთში ურევენ და ზელავენ რკინის ნიჩბებით. კარგი ღირსების ქოთნების დამზადება დიდად დამოკიდებულია ნაზავის ცომის ზომიერ სისველეზე. ცომის არასაკმაო სისველის დროს, ქოთანი ვერ ინარჩუნებს სასურველ ფორმას და ადვილად იშლება, ხოლო ზედმეტი სისველის დროს იგი მეტად რბილი გამოდის და ადვილად იჭყლეტება. ამიტომ საჭიროა ზომიერების დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ წყალში გათქვეფილმა ძროხის ნაკელმა და მინერალურმა სასუქების ხსნარმა ვერ უზრუნველყო ნაზავის ცომის სათანადო სისველე, საჭიროა წყლის დამატება. საერთოდ უმჯობესია წინასწარ სანიმუშოდ დავამზადოთ რამდენიმე ქოთანი და მათი მდგომარეობის მიხედვით დავიცვათ ნაზავის სისველის ზომიერება.

ამჟამად ჩვენი ქარხნები უშვებენ ისეთ დაზგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქოთნის დამზადების ყველა პროცესის, მათ შორის ნაზავის დოზირების, ერთმანეთში არევის და სხვ. მექანიზაციას.

მზადდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქოთნები. უფრო გავრცელებულია ოთხწახნაგოვანი ქოთნები — ე. წ. საკვები ძელაკები და ექვსწახნაგოვანი ქოთნები. ექვსწახნაგოვანი ქოთნების უპირატესობა ის არის, რომ მათ ნაკლებად ეშლებათ გვერდები და უფრო შემჭიდროებულად იწყობიან კვალსათბურში. რაც შეეხება ქოთნის ზომას, პამიდორის, ბადრიჯნის, წიწაკისა და კომბოსტოსათვის მიღებულია 6×6 სანტიმეტრი, ხოლო პამიდორის უფრო მოზრდილი ჩითილის გამოსაყვანად უმჯობესია 8×8 სანტიმეტრი, კიტრისა და ბაღჩეული კულტურებისათვის კი 10×10 სანტიმეტრი.

ექვსსანტიმეტრიანი ქოთნის წონა 200 გრამამდეა, რვასანტიმეტრიანისა — 300 გრამამდე, ათსანტიმეტრიანისა კი — 400 გრამამდე. ამრიგად, ერთი ტონა ნაზავიდან შეგვიძლია მივიღოთ 5.000 ცალამდე ექვსსანტიმეტრიანი ან 3.000-3.500 ცალამდე რვა და ათსანტიმეტრიანი ქოთანი.

დამზადებული ქოთნები იწყობა კვალსათბურში, რომელიც მზადდება ჩვეულებრივი წესით; იქ იყრება ახალი ნაკელი. ერთი-ორი დღის შემდეგ, როდესაც ნაკელი დაჯდება და მთელ კვალში თანაბრად შეხურდება, მას კიდევ ემატება ნაკელის ახალი ფენა, რომელიც სწორდება და ფიცრით იტკეპნება. დატენილ ნაკელს ზემოდან ეყრება მიწის თხელი ფენა — 6-8 სანტიმეტრის სისქეზე. ერთი-ორი დღის შემდეგ, როცა ქოთნები საბმარისად გაშრება, შიგ თესავენ ან ჩითილს რგავენ, ამის შემდეგ ქოთნებს ზემოდან აყრიან ნეშომპალას თხელ ფენას.

ავრონომ მჭრტჩიანის სისტემის დაზგით „პამ-5,5-20“ ქოთნების გაკეთება უშუალოდ კვალსათბურშივე შეიძლება. ამისათვის კვალსათბურში ჩაყრება ნაზავი 10-12 სანტიმეტრის სისქეზე და შიგვე დაიჭრება.

ქოთნებში თესვის შემთხვევაში ღრუები რამდენადმე ივსება მიწით (ქოთნის ნაზავით) და თითო ქოთანში ითესება ორ-ორი ცალი თესლი. აღმოცენების შემდეგ ერთ მათგანს, უფრო სუსტად განვითარებულს, აცლიან. მაგრამ კვალსათბურების ეკონომიის მიზნით კვალსათბურში თესლი ჯერ სქლად ითესება, ხოლო როცა აღმოცენებს ერთი ნამდვილი ფოთოლი განუვითარდება, ჩითილებს ქოთნებში გადარგავენ. იმისათვის რომ გრძელი ფესვი არ მოიკეცოს, უმჯობესია შეიჩქმიტოს, ღრუში ჩაშვებულ ფესვებს თითებით ეტკეპნება ქოთნისავე მიწა, ამის შემდეგ იგი ფრთხილად ირწყვება წყლით და ეხურება ჩარჩო.

საკვები ძელაკების (ცუბიკების) დამზადება სათბურში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივად დაიწყო ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის და ნეშომპალის ქოთნებში. არის შემთხვევები, როცა ქოთნების დასამზადებლად მიღებულ წესს არ იცავენ, არასწორად აზავებენ სხვადასხვა მასალას და სხვ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სპეციალისტები მოწოდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების პროგრესული წესების გავრცელებაში.

გ. ჯაფარიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აჭარის ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. **სურათზე:** ი. ჩხაბურის საბჭოთა მეურნეობის ჩაის სახსლავი მანქანის მძღოლი კომკავშირელი შაქრო ღვინიაშვილი მუშაობს ჩაის ბუჩქების გაფორმებაზე.

ფოტო ვ. ბაბაიანისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

მოსკოვი

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკისათვის

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სამხატვრო საბჭომ მოაწყო ახალი ნიმუშების ფეხსაცმლის დათვალიერება 1954 წელს გამოსაშვებად. დათვალიერების შედეგად რეკომენდებულია ასობით ახალი ნიმუშის ფეხსაცმელი.

„ხოიუზგლავობუვის“ თბილისის ფაბრიკა გამოუშვებს 40-მდე ახალი ნიმუშის ფეხსაცმელს. წელს იგი პირველად დაამზადებს მამაკაცის სანდალეტს, გაზრდის ტყავისძირიანი ფეხსაცმლის გამოშვებას, შეკერავს ლაქის, ნატის, თეთრი შევროს სამოდელო ფეხსაცმელს. ახალი სახის პროდუქციის გამოსაშვებად წელს მოხდება ფაბრიკის კონვეიერების რეკონსტრუქცია.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ გამოჰყო სახსრები ფაბრიკის მუშაკთა 220 ბავშვისათვის კოჯორში აგარაკის, ფაბრიკასთან 110-ადგილიანი ბავშვთა ბაგის, ორი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და 50-ბინიანი სახლის მშენებლობის დასამთავრებლად. დაიწყება აგრეთვე ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა.

„ახალგაზრდა მასწავლებელი“ რუსულ ენაზე

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა რუსულ ენაზე ითარგმნოს გ. ქელბაქიანის პიესა „ახალგაზრდა მასწავლებელი“, რომელმაც სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის კარგი შეფასება მიიღო. პიესის თარგმნა და ლიტერატურული რედაქტირება მიენდო დრამატურგს, სტალინური პრემიის ლაურეატს ი. ლუკოვსკის.

მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციისა და თეატრების სამმართველოს მითითებით ავტორმა ნაწილობრივ გადაამუშავა პიესა. თარგმნის დამთავრების შემდეგ პიესა შეტანილ იქნება რუსული თეატრების რეპერტუარში.

პოეტ ა. შენგელიას წიგნი

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსაცემად მიიღო პოეტ ა. შენგელიას ლირიკულ ნაწარმოებთა წიგნი, რომელშიც შევა პოემის 100-მდე ნაწარმოები, მათ შორის ლექსები ვ. ი. ლენინზე, ი. ბ. სტალინზე, სამშობლოზე, ციკლი ლექსებისა „ფოლადის ქალაქის ჭრონიკა“, თარგმანზე მუშაობენ პ. ანტოკოლსკი, ვ. დერუაგინი, მ. ლუკონინი, ა. მეეროვი, მ. ლვოვი, ს. ორლოვი, ნ. კრონგაუზი და სხვ. წიგნი გამოვა მომდინარე წლის აპრილში.

პოეტი ა. შენგელია ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ რედაქციის დავალებით ამზადებს ლექსების ციკლს რუს და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის შესახებ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს კოლმეურნეობის წევრთა და თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სოციალისტური შეჯიბრების ფონზე.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საღამო თბილისში

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მოაწყეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა.

თეატრის სცენა მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ალმებით. დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ გ. კარბელაშვილმა.

მოხსენება „საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის“ გააკეთა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ხორავამ.

მომხსენებელმა ილაპარაკა უნგრელი ხალხის დიდ წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. აღნიშნა, რომ სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის და უნგრეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს მსოფლიო რეკორდსმენმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ, თბილისის ქალთა 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. მარდალეიშვილმა და სხვ. მათ აღნიშნეს საბჭოთა ადამიანების დიდი სიმპათია უნგრელი ხალხისადმი.

პოეტმა ა. თევზაძემ წაიკითხა ლექსი, მიძღვნილი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლისადმი ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის.

თეატრის ფოიეში მოწყობილი იყო ფოტოგამოფენა „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში“.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელზეც შესრულებულ იქნა რუს, ქართველ და უნგრელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. (საქ-დესი).

გაზეთების ფურცლებიდან

ოთხი წლის წინათ ეს ადგილი [illegible]

ამ სათაურით რუსთაველის საქალაქო გაზეთმა „მეტალურგიისათვის“ მთელი გვერდი მიუძღვნა რუსთაველის მრეწველობის, კულტურისა და ქალაქის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას განვლილი ოთხი წლის მანძილზე. გაზეთში მოყვანილი ციფრები და ფაქტები მოგვითხრობენ იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის და რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის რუსთავის ცხოვრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ.

1950 წლის 27 აპრილს ამუშაოდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის პირველი ღუმელი, ჩვენი ქვეყნის მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგა რუსთავის ქარხანა. პირველმა ქართველმა მეფოლადეებმა შალვა კუხალეიშვილმა, გიორგი სიგუამ, ვაჟა გიგიბერიამ, ვანო მეტრეველმა და სხვებმა სამშობლოს მისცეს რუსთავში მიღებული პირველი ფოლადი. გავიდა ოთხი წელი. გაიზარდა მარტენის საამქრო, მასთან ერთად იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ საამქროს ადამიანებიც. ფოლადის გამოდნობა შარშან აქ წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. წარმატებით მუშაობენ მემარტენეები წელსაც. თანერის საწარმოო დავალება ვადამდე შესრულდა, ჩქაროსნული ნადნობთა რიცხვი 60-70 პროცენტამდე გაიზარდა.

მარტენის პირველი ღუმელის ამუშავებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მწყობრში ჩადგა ქარხნის ბლუმინგის საამქროც, სადაც დღითიდღე უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია, პროდუქციის ხარისხი.

1951 წლის სექტემბერში რუსთავის მეტალურგებმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს — ამუშავდა ქარხნის მილსამზადის საამქრო, სადაც შრომის ყველა პროცესი ავტომატიზებული და მექანიზებულია. მანამდე მეტალურგიის ისტორიაში არ ყოფილა მილების დანამზადის გამომშვები მსგავსი სპეციალიზებული საწარმო.

მილდანამზადის საამქროს ამუშავებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ მწყობრში ჩადგა მილსაგლინავი აგრეგატი „140“ და ამუშავდა მილსაგლინავი საამქრო — საბჭოთა კავშირში პირველი ყველაზე მძლავრი მილდამამზადებელი საამქრო. გასული წლის დეკემბერში კი საამქროში ამუშავდა მილსაგლინავი აგრეგატი „400“, რომელიც ყველაზე მძლავრია მთელ ევროპაში. ქარხნის ახალგაზრდა მგლინავებმა მოკლე ვადაში აითვისეს დიდდიამეტრიანი უნაწიბურო ფოლადის მილების წარმოება. ისინი წარმატებით ასრულებენ ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობის საწარმოთა დაკვეთებს დიდდიამეტრიანი ფოლადის მილებზე.

ქარხანასთან ერთად იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი. განვლილი ოთხი წლის მანძილზე აქ ააგეს 138 ათას კვადრატული მეტრი [illegible] ბელი ფართობი. ლამაზ, თანამედროთელიან საერთო საცხოვრებელთა გარდა ქალაქში სულ უფრო მატულობს საცხოვრებელი სახლების რაოდენობა. გაჩნდა ბევრი ახალი ქუჩა, თუ 1950 წელს აქ 20-მდე ქუჩა იყო, ახლა მათი რიცხვი 50-ს აღწევს. ქალაქის ნამდვილი მშვენებაა ცენტრალური პროსპექტი, რომელიც თავისი სიგრძითა და სიგანით რესპუბლიკაში მეორეა თბილისის რუსთაველის პროსპექტის შემდეგ. ქალაქი განუწყვეტლივ იზრდება. გასული წლის აგვისტოში გაჩაღდა სამშენებლო სამუშაოები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც გასლაგდება ქალაქის ძირითადი ნაწილი 40 ათასი მოსახლით. რუსთავის მშრომელები დიდ მზრუნველობას იჩენენ თავიანთი ქალაქის გაშენებისათვის. განვლილი ოთხი წლის მანძილზე ქალაქში დარგეს 200 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი. ახლა აქ ხარობს ჭადარი, კაკლის ხე, თელა, აგრეთვე სუტტრომპეტი და მცენარეები — დრაცენა, პალმა, ხურმა და სხვ. რუსთავის ტყე-პარკი რესპუბლიკაში ყველაზე დიდი იქნება.

მნიშვნელოვანი წინსვლაა ქალაქში კულტურული მშენებლობის დარგში. 1950 წლის შემდეგ ქალაქში გაიხსნა ზოგადი განათლების ექვსი სკოლა, მეტალურგთა სახელოსნო სასწავლებელი და მუსიკალური სკოლა. თუ 1950 წელს ქალაქს ერთი კლუბი ჰქონდა, ახლა აქ არის კულტურის სახლი და 15 ბიბლიოთეკა, შენდება მეტალურგთა კულტურის სასახლე, რომელსაც მაყურებელთა 750-ადგილიანი დარბაზი ექნება.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ რუსთავის მშრომელებმა მიიღეს პოლიკლინიკა დაორი საავადმყოფო. ამას წინათ მეტალურგიულ ქარხანაში გაიხსნა ახალი საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით. საავადმყოფოსთან არის ამბულატორია და პოლიკლინიკა.

ოთხი წლის მანძილზე ქალაქში გაიხსნა 54 მაღაზია, სასადილო, ამუშავდა ხორცკომბინატი, გაფართოვდა ქალაქის სამრეწველო კომბინატი, რომელმაც მოაწყო ავეჯის სახელოსნო, საკონდიტრო და ლიმონათის საამქროები. 1951 წელს ამუშავდა ახალი პურსაცხობი ქარხანა, რომელიც დღეღამეში 40 ტონა პროდუქციას იძლევა. წლითიწლობით უმჯობესდება რუსთაველი მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. ქალაქში მუშაობს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, შექმნილია აბანო-სამრეცხაო, რომელიც რესპუბლიკაში უდიდესია.

გაიკვლის სულ ცოტა ხანი და საბჭოთა ადამიანების ხელით აგებული მეტალურგთა ქალაქი რუსთავი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცევა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღვკვეთოთ ავჯომობილების საეჭვო ყიდვა-გაყიდვა“

„კომუნისტის“ გასული წლის 4 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი. მასში გაკრიტიკებული იყო „გლავმაშსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ზოგიერთი მუშაკი, რომ ისინი არღვევენ ვაჭრობის წესებს და აძლევენ მსუბუქი ავტომობილების თავისუფლად გაყიდვას. წერილში მოყვანილი იყო აგრეთვე ზოგიერთი პიროვნების მიერ ავტომობილის არადანიშნულებისამებრ გამოყენების, მანქანის სპეკულაციისა და შემოსავლის წყაროდ გადაქცევის, აგრეთვე ავტომობილების საეჭვო ყიდვა-გაყიდვის მრავალი ფაქტი.

ამ წერილთან დაკავშირებით „გლავმაშსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ამხ. ა. მიქაძე, ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ამხ. შალამბერიძე და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ალანია გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. მაღაზიაში ავტომობილის მყიდველთა აღრიცხვა და რიგი მოწესრიგებულია. წერილში ჩამოთვლილი ნომრების მქონე ავტომანქანების მძღოლებს, რომლებმაც ავტომობილი სპეკულაციისა და შემოსავლის წყაროდ აქციეს, წაართვათ მძღოლის დოკუმენტები და გადაეცათ სათანადო კომისიას მათთვის მძღოლის დროებით ჩამოსართმევად. ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები წერილში ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

თბილმრეწვაბრობას დაევალა მომდინარე წლის პირველ კვარტალში გასწნას თბილისში ავტომობილების საკომისიო მაღაზია.

„წყალი ელის ბინადარს“

გაზეთ „კომუნისტის“ მომდინარე წლის 9 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი „წყალი ელის ბინადარს“. მასში გაკრიტიკებული იყო ხობის რაიონის პარტიული, საბჭოთა დაწესებულებების, კოლმეურნეობათა და მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები წყალცურავი ფრინველის მოშენების საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ცომაია გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა, რაიკომის ბიუროომ 24 თებერვალს განიხილა შემოწმების შედეგები. ბიუროს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ალანია გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. მაღაზიაში ავტომობილის მყიდველთა აღრიცხვა და რიგი მოწესრიგებულია. წერილში ჩამოთვლილი ნომრების მქონე ავტომანქანების მძღოლებს, რომლებმაც ავტომობილი სპეკულაციისა და შემოსავლის წყაროდ აქციეს, წაართვათ მძღოლის დოკუმენტები და გადაეცათ სათანადო კომისიას მათთვის მძღოლის დროებით ჩამოსართმევად. ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები წერილში ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

„რაიონული გაზეთი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები“

„კომუნისტში“ დაბეჭდილ პრესის მიმოხილვაში „რაიონული გაზეთი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები“ გაკრიტიკებული იყო სარხერის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით“, რომელიც განზე უდგას რაიონის ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, არ იცნობს მათს ეკონომიკას, ცხოვრებას, არ ეხმარება მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

პრესის მიმოხილვა განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის საჩხერის რაიონული კომიტეტის ბიურომ, რომელმაც სწორად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა რაიონული გაზეთის მიმართ. რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ მუშაობის გაუმჯობესებისათვის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი.

„სავაჭრო დაწესებულების თავმინებებული პარგიული ორგანიზაცია“

სასკოლო მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე

(საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების უზრუნველსაყოფად. გაფართოვდა სასკოლო ქსელი, რვაწლიან სკოლად გადაკეთდა 27 დაწყებითი და საშუალოდ—29 რვაწლიანი სკოლა. სკოლას დაუბრუნდა სხვადასხვა დროს ჩამოშორებული 5.362 ბავშვი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელი რიგი სკოლების დაწყებით კლასებში აღდგენილ იქნა სწავლება აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ამასთან ერთად საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა მხოლოდ 96,7 პროცენტით შეასრულა. აჭარაში სკოლის გარეთ დარჩენილია 229 ბავშვი, სამხრეთ ოსეთში — 730, მარნეულის რაიონში — 563, ახმეტის რაიონში — 297, თბილისში — 1.980.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის მტკიცედ გატარება, სწავლების ხარისხის ამაღლება და მისი მჭიდრო კავშირი პრაქტიკასთან, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესება — აი რა საკითხები იდგა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეების, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის მასწავლებელთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამას წინათ მოეწყო თბილისში.

თავის მოხსენებაში „1953-1954 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები და სკოლების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის დექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით“ განათლების მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე ვრცლად შეჩერდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის ურყევად გატარების, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პრაქტიკასთან მისი კავშირის მტკიცეულ საკითხებზე.

სკოლების წინაშე დასახული ახალი ამოცანები,—თქვა მომხსენებელმა, — სკოლის ხელმძღვანელებისა და ბიოლოგიური დისციპლინების მასწავლებლებისაგან მოითხოვენ მოსწავლეების ღიზრდას სასოფლო-სამეურნეო შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და განათლების სამინისტრომ ამ მიმართულებით სკოლებს მეტი ოპერატიული დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ. პედაგოგიურმა კაბინეტებმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა სისტემატურად უნდა შეისწავლონ და განაზოგადონ ცალკეული სკოლების მუშაობის მოწინავე გამოცდილება და თვითეული სკოლის კუთვნილებად აქციონ იგი.

თათბირზე პედაგოგებმა, განათლების ორგანოების მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ისეთი მტკივნეული საკითხის განხილვაში, როგორიც არის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა პედაგოგებმა მოპოვებულ წარმატებათა აღნიშვნასთან ერთად მკაცრად ამხილეს სერიოზული ნაკლოვანებანი სკოლებში ქართული ენის სწავლების დარგში. უწინარეს ყოვლისა აღინიშნა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დიდი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ცუდად ფლობს საგანს, არ იცნობს სწავლების მეთოდიკას, არ იმაღლებს კვალიფიკაციას და იდეურ დონეს. ამის შედეგია, რომ მთელ რიგ საშუალო სკოლებში დაბალია ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, ლარიბია ლექსიკა, მოსწავლეებს მექანიკურად და ზერელედ აქვთ შეთვისებული გრამატიკული წესები, ვერ ახერხებენ მხატვრული ნაწარმოების ანალიზს, პერსონაჟთა დახასიათებას, სუსტად იციან ლიტერატურის თეორიის საკითხები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას ხელს უშლის კარგი სახელმძღვანელოს უქონლობა.

თათბირზე მასწავლებლებმა სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, პედაგოგიურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები იმის გამო, რომ ისინი სკოლებს ვერ უწევენ საჭირო მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას. არასაკმაოდ გამოდის მეთოდური წიგნები და ბროშურები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები გადატვირთულია, რაც ართულებს ამ საგნის სწავლებას (განსაკუთრებით XI და VIII კლასებში).

რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ.

თათბირზე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა აღნიშნეს ის დაბრკოლებანი, რაც მათ ეღობება საგნის სწავლების დროს. მაგალითად, ისინი დროულად ვერ იღებენ სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელო წიგნებს და საჭირო დიდაქტიკურ მასალებს. არსებული სახელმძღვანელოები და პროგრამები მეტად დადატვირთულია. არსებითი შეუსაბამობა და წინააღმდეგობებია სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შორის. მასწავლებლებმა მოითხოვეს პროგრამების განტვირთვა რთული და დიდი მოცულობის ზოგიერთი საკითხისაგან.

მოხსენებებთან დაკავშირებით სიტყვებით გამოვიდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის მოწინავე მასწავლებლები. სახალხო განათლების ორგანოების მუშაკები.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი სასკოლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

გორის ბამბეულის კომბინატის საქსოვი საამქრო. ახალი წლიდან განსაკუთრებული თავდადებით შრომობს მქსოველი მ. კაპანაძე. უკანასკნელ დღეებში იგი დღიურ დავალებას 125-130 პროცენტით ანაღდებს. სურათზე: ცვლის ოსტატი ნ. კურდღელაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს სტახანოველი მქსოველის მ. კაპანაძის ნამუშევარს.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

მოწინავე მაღარო და მისი წინსვლის გზა

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი წელს საუკეთესოდ მუშაობს. როგორც ცნობილია, ამ მაღაროს კოლექტივმა 1953 წლის გეგმა ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულა, შეინარჩუნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ამავამდ ყოველთვიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. ამ მაღაროს მუშაობა და წინსვლის ის გზა, რომელიც მისმა კოლექტივმა განვლო, მისაბაძი და სამაგალითო უნდა იყოს ჭიათურის სხვა მაღაროთა კოლექტივებისათვის.

ლენინის სახელობის მაღაროს ხელმძღვანელობამ წარმატებებს მიაღწია სამთო საშუშაოთა კარგი ორგანიზებულობით და მასების შემოქმედებითი აზრის მიზანშეწონილად გამოყენებით. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ გეგმების შესრულების შეფერხებული გარეშოებანი, მოახდინეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, განამტკიცეს საწარმოო დისციპლინა, უზრუნველყვეს საწარმოო თათბირებზე შემოტანილ წინადადებათა დაუყოვნებელი განხორციელება, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი აზრის გამაზვა წარმოების „ეიწრო ადგილების“ დასაძლევად.

საერთოდ ჭიათურის მაღაროებში და კერძოდ ლენინის სახელობის მაღაროში მწკავედ იდგა მადნის დატვირთვის დაჩქარების საკითხი. ლენინის სახელობის მაღაროს ხელმძღვანელობამ ამ საქმის მოგვარებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და მიაღწია მადნის დატვირთვის პროცესების სრულ მექანიზაციას. მაგრამ ცნობილია, რომ თუ მექანიზმებს კარგად არ მოვუარეთ, მათი შეუფერხებელი მუშაობა არ მოხერხდება. ამიტომ — მექანიზმების კარგ მოვლა-პატრონობას მაღაროში მთავარი ყურადღება მიაქცეს. მეშვიდე უბანი მაღაროში წინათ ჩამორჩენილი იყო, მაგრამ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელების შემდეგ ეს უბანი დაწინაურდა. მოწინავე გახდა. ასევე მოხდა იმ უბნებზე, რომლებსაც გ. გაფრინდაშვილი, პ. ჩაჩანიძე, კ. აბესაძე ხელმძღვანელობენ.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის მიღწევას დიდად შეუწყო ხელი წარმოების ნოვატორთა გამოცდილების მასობრივად გავრცელებამ, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვამ. მაგალითად, მბურღავ გ. თოდაძის მუშაობის ნოვატორული მეთოდი აქ მასობრივად დანერგეს და ამით მიაღწიეს მბურღავთა შრომის ნაყოფიერების საერთო გადიდებას. ასევე მასობრივად დანერგეს ამწმენდ დ. კილაძის მუშაობის მეთოდი და შეძლეს ყველა ამწმენდის მუშაობის გაუმჯობესება.

მთავარი კი, რაც მისაბაძია ჭიათურის სხვა მაღაროთა პარტიული ორგანიზაციებისათვის, არის ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაციის მხრივ (პარტბიურო დვინაი გ. ყიფშიძე) სამეურნეო საქმიანობისადმი ქმედითი კონტროლის გაძლიერება და ადმინისტრაციისათვის სამეურნეო საკითხების მოწესრიგებაში დახმარების გაწევა. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის პარტიული ორგანიზაციის მიერ ამ საქმეში მიღებული გამოცდილება უნარიანად უნდა გამოიყენონ სხვა მაღაროების პარტიულმა ხელმძღვანელებმა.

ვ. ჯაფარიძე,
ლენინის სახელობის მაღაროს მესკრპერე.

ქალები—მოწინავე მეშახტეები

ტყიბული. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ტყიბულელმა მეშახტე ქალებმა. ლენინის სახელობის შახტში სახელი გაითქვა ქვანახშირის დამხარისხებელთა ამ ბრიგადამ, რომელსაც თამარ ბერიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს.

არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მექანიკოსი ქალები ლ. ხმარა და ლ. ნოვიკოვა, რომლებიც მომსახურებას უწევენ საშახტე ამწე მანქანას.

ტყიბულის შახტებში მრავალდ მუშაობენ ინჟინერი ქალებიც. მათ შორის არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხელმძღვანელობის კარგი უნარი გვიჩვენეს თ. პაპიაშვილმა, ნ. კიკნაძემ და ე. ბერეჟიანმა.

პირველობისათვის მებრძოლი მეშახტეები

ახალციხე. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად საქართველოს მეშახტეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში პირველობისათვის ბრძოლაში წარმატება მოიპოვა ახალციხე-ქვანახშირის მეორე შახტის კოლექტივმა, რომელიც ახლა სისტემატურად იძლევა ზეგეგმითს ქვანახშირს.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს მარტში ამ შახტის კომკავშირული ცვლა, რომელსაც ინჟინერი ო. აბელიანი ხელმძღვანელობს. ეს ცვლა გეგმას 120-125 პროცენტით ანაღდებს.

ფელეტონი

მისი სიტყვა და საქმე

ქარაგნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრი სერგო მათითაშვილი არაერთხელ გამოსულა ამაღელვებელი სიტყვით თათბირებსა და სესიებზე, დამსწრეთ არიგებდა ჭკუას, საბჭოთა დაწესებულების მუშაკი სამაგალითო, პატიოსანი უნდა იყოსო.

ერთხანს იგი თითქოს მართლაც ატარებდა ასეთი მუშაკის სახელს. მაგრამ მალე მოედო ხავსი. ჩვენც ამაზე მოგახსენებთ.

...ერთ დღეს ამხ. მათითაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა კურორტთა სამმართველოს უფროსს ამხ. ქურსუას:

— კიდევ რვა საგზური გადმორიცხე ჩვენი შედუღაბებული მეგობრობის ფონდში. იყოს სხვადასხვა — ზღვის სანაპიროს კურორტების, კისლოვოდსკის, წყალტუბოსი... საფასური?! ხელი ხელსა ჰბანს, ორივე კი... — დაამთავრა თუ არა საუბარი, თავისი ავტომანქანის მძღოლი აფრინა სამმართველოში. რამდენიმე წუთის შემდეგ საგზურები მინისტრის მაგიდაზე ეწყო.

მკითხველი ალბათ იტყვის: დაწესებულების ხელმძღვანელიც სწორედ ასეთი უნდა, შეხეთ, როგორ ზრუნავს თანამშრომლთა კეთილდღეობისთვისო. სამწუხაროდ, ფინანსთა სამინისტროს სახელზე გამოტანილი საგზურები მხოლოდ იმათ ხმარდებოდა, ვის წინაშეც მინისტრი მლიქნელობდა...

დამსვენებელთა განცხადებებისადმი წაყრუებაში დაოსტატებული კურორტთა სამმართველოს უფროსი ამხ. ლ. ქურსუა საგზურებით გულუხვად მხოლოდ მათითაშვილს ამარაგებდა, ღირებულებას კი არ სთხოვდა, რადგან ისიც თავის მხრივ მათითაშვილის წინაშე მლიქნელობდა.

აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს ბუხჰალტერიაში ვერც ერთ დოკუმენტს ან ჩანაწერს ვერ ნახავთ კურორტთა სამმართველოსთან საგზურებისა და მათი ღირებულების ანგარიშსწორების შესახებ. მათი კვალი მინისტრის კაბინეტს არ გასცილებია.

როდესაც ამხ. მათითაშვილი მინისტრის პოსტიდან ჩამოაქვეითეს და პირველ მოადგილედ დანიშნეს, კურორტთა სამმართველოს უფროსი ლ. ქურსუა სულ სხვანაირად ალაპარაკდა. ახლა მან აიღო ტელეფონის ყურმილი და ამხ. მათითაშვილს გამოუძახა:

— სერგო! (მანამდე კი სერგეი კონსტანტინოვიჩს ეძახდა) საგზურის ანგარიშსწორების დრო დადგა! რას ფიქრობ? შენი გულისთვის პასუხისგებაში ხომ არ წავალ?!

მალე კურორტთა სამმართველოს სასარგებლოდ საგზურების საფასურში ფინანსთა სამინისტროს ჩამოეწერა 5.952 მანეთი. ამ ამბის გაგებაზე ფინანსთა სამინისტროს მუშაკები გაოცდნენ: ვისი სახელია და ვინა ხრავსო!

1953 წლის 22 ოქტომბერს სოხუმში ხმა გავარდა: კურორტთა სამმართველოს სალაროში ვიღაც კეთილი კაცი მივიდა, ფინანსთა სამინისტროს სახელზე გამოწერილი საგზურების საფასურის დასაფარავად სამი ცალი შემოსავლის ორდერით 15.395 მანეთი დატოვა და წავიდა! დღემდე საიდუმლოებით იყო მოცული იმ კაცის ვინაობა. ამის თაობაზე მიმდინარე წლის 17 თებერვალს ამხ. ქურსუამ რიხით განაცხადა:

— ნუთუ მე, სამმართველოს უფროსს, უფლება არა მაქვს თუნდაც უსასყიდლოდ ათასობით მანეთის საგზური ვისაც მინდა და როგორც მინდა მივცე. გაინტერესებთ, ვინ იყო, სალაროში ფული რომ მოიტანა და მისი ვინაობა კი არ აღიბეჭდა დოკუმენტებში? ის ამხ. მათითაშვილი გახლავთ!

მათითაშვილს სამინისტროში თვითმომმარაგებლის სახელი შეარქვეს. მართლაც, მან თანდათან დაკარგა საბჭოთა მუშაკის თვისება და ზომიერების გრძნობა, თვითმომარაგებას მიჰყო ხელი, საწველი ფურიც კარგი ნახა... ერთხელ სამინისტროდან სახლში ოთხი კუბმეტრი შეშა უსასყიდლოდ მიზიდა, შემდეგ გაგრის დასასვენებელი სახლის სახელზე იმავე სამინისტროდან კარტოფილისათვის რამდენიმე ათასი მანეთი გადარიცხა, რომლის ასავალ-დასავალი მათითაშვილს გარდა არავინ იცის.

კიდევ მეტი. მან საფინანსო დარგის მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტს (თავმჯდომარე ა. დგებუაძე) 3.000 მანეთი გამოართვა ჩონგურებისა და ფანდურების შესაძენად. ვითომ ამისათვის ზუგდიდშიც გავმგზავრა! ბოლოს ანგარიშის დასაფარავად სამინისტროს კლუბში არსებული ძველი ჩონგურები მიუთავალა. აქტიც გააფორმეს, რომელშიც წერია: „შეძენილია 5 ჩონგური, 4 ფანდური, 1 ჩონგური 250 მანეთად, სულ 1.250 მანეთი, 1 ფანდური 200 მანეთად, სულ 800 მანეთი, მთლიანად მიცემულია 2.050 მანეთი“. ამ ყალბ აქტს ხელი მოაწერეს საფინანსო დარგის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის წევრმა ე. ტყებუჩავამ, კლუბის გამგემ ა. ქოიავამ, იმავე სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა შ. ბენიძემ.

საფინანსო დარგის მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დგებუაძე არ ისვენებს, მათითაშვილის მიერ წაღებული თანხის დაბრუნებას მოითხოვს, მათითაშვილი კი ამას უმნიშვნელო წვრილმანად თვლის.

ამბობენ, წვრილმან-წვრილმანებმა თვითმომმარაგებელ მათითაშვილს ქალაქ სოხუმში, ზღვის პირას ვეებერთელა ბინა-სასახლე აღუმართაო.

აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროში დაუსრულებელი კინკლაობაა: ს. მათითაშვილი ნაწყენია, რომ პარტიულ კრებაზე გაბედეს და მოითხოვეს მისთვის წაყენებულ ბრალდებათა შემოწმების შედეგები. მაგრამ მას საგზურებით უხვად მომარაგებული ნაცნობ-მეგობრების სრული იმედი აქვს და ამიტომ მოუსვენარ ინტრიგანად, მჯღაბნელად აცხადებს მინისტრის მოადგილეს, პარტბიუროს მდივანს ამხ. დ. წერეთელს. კინკლაობენ. გეგმები კი არ სრულდება.

პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციულ-საავჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. ვ. მარღანიასთან მრავალი სიგნალი და დოკუმენტია თავმოყრილი ფინანსთა სამინისტროში არსებულ უმსგავსობათა შესახებ. ამხ. მარღანია დაჰყურებს ამ დოკუმენტებს და დამშვიდებით ამბობს:

— დიდი ხანია ხუთი თითივით ვიცი, რა სურათიც არის იქ, დასახული გვაქვს ზომების მიღება, მაგრამ...

მაგრამ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. შუა უზის დიდი ზღვარი.

ა. გოცირიძე.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

პერეიასლავ-ხმელნიცკში

კიევ-ხარკოვის გზატკეცილის 91-ე კილომეტრზე მარმარილოს ობელისკია აღმართული და მასზე გორელიეფია პერეიასლავის რადის გამოსახულებით. ქვე ბოძზე მიკრული გზის მაჩვენებელი იუწყება, რომ პერეიასლავ-ხმელნიცკში წასვლელმა აქედან მარჯვნივ უნდა გადაუხვიოს.

გზატკეცილის ფოლადისებრ ასფალტზე ავტომანქანა მიჰქრის. 23-ე კილომეტრზე გზას მდინარე ტრუბეჟი კვეთს და, როგორც კი მანქანა ხიდს ასცდება, იწყება ქალაქი პერეიასლავ-მელნიცკი. ეს ის ისტორიული ქალაქია, სადაც 300 წლის წინათ შედგა პერეიასლავის რადა, რომლის გადაწყვეტილებამაც ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა ორი დიდი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების ცხოვრებაზე.

ქალაქის ცენტრში მოგრძო, უსწორო ფორმის მოედანია. მის ერთ მხარეს ელმართულია მიძინების ტაძარი, რომელიც აუშენებიათ სწორედ იმ ადგილას, სადაც ბოგდან ხმელნიცკის დროს, ამასი წლის წინათ პატარა საყდარი ყოფილა. ამ საყდარში 1654 წლის 8 (18) იანვარს გაიმართა პერეიასლავის რადა (საბჭო), რომლის მონაწილეებმაც ერთსულოვნად გადაწყვიტეს უკრაინის ერთება რუსეთთან და დაადგინეს: „ყოველ ამიერიდან და უკუნისამდე ყოველივე ერთიან იყოს“.

პერეიასლავი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი პირველად მოხსენებულია 907 წელს, მაგრამ ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ქალაქი ამაზე ბევრად ადრე დაარსდა. პერეიასლავის სახელწოდების შესახებ ზღვასაც ცოცხლობს ასეთი ლეგენდა:

მეათე საუკუნის ბოლოს ამ ქალაქის თავარ გალავანთან მოხდა დიდი ბრძოლა სლავებსა და მათზე თავდამსხმელ პაჭანიკებს შორის. ბრძოლა დამთავრდა სლავთა საუკეთესო მებრძოლისა და ვაჟკაცის კოჟემიაკის შეტაკებით პაჭანიკების ბუმბერაზ ფალავანთან. შეტაკება სლავი რაინდის გამარჯვებით დაბოლოვდა და ამის შემდეგ ქალაქს ეწოდა „პერენია სლავუ“. რაც სლავურად ნიშნავს „პერენიელ სლავუ“, ე. ი. სახელი ჩამოართვესო, და ამის შემდეგ ქალაქსაც მისი გმირი შვილის ვაჟკაცობის უკვდავსაყოფად პერეიასლავი ეწოდა.

ქალაქის ირგვლივ უძველეს დროში აღმართული მიწაყრილი, რომელსაც ძველი პერეიასლაველები თავდამსხმელებთან ბრძოლების დროს საფარად იყენებდნენ, მოგვაგონებს, რომ პერეიასლავი იმთავითვე სლავთა მიწების მთავარი ფორპოსტი, მთავარი დასაყრდენი ადგილი იყო, საიდანაც სლავები თავიანთ მიწა-წყალს იცავდნენ თურქიანიჩარების, თათართა ურდოებისა და პოლონელი პანების თავდასხმებისაგან. ამ მიწაყრილის აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაშთები ახლა ისტორიკოსებისა და არქეოლოგების შესწავლის ობიექტს წარმოადგენენ. ამას წინათ იქ აღმოაჩინეს უძველესი ტაძრის კედელთა ნაშთები და დაადასტურეს, რომ ეს ტაძარი მრავალი საუკუნის წინათ ყოფილა აგებული.

გადიოდა დრო, და ისტორია თავის კვალს ტოვებდა ამ ქალაქში. ქალაქის ცენტრის მახლობლად აღმართულია კოლეგიუმის შენობა. ამ შენობაში მუშაობდა და ასწავლიდა გამოჩენილი უკრაინელი ფილოსოფოსი გრიგორ სკოვოროდა. იქვე, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის მომცრო სახლში, სადაც ახლა მუზეუმია გახსნილი, საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიან საბჭოთა ადამიანები ძველი ექსპონატების დასათვალიერებლად და მღელვარებით კითხულობენ ბრინჯაოს დაფაზე ამოკვეთილ სიტყვებს: „ამ სახლში დაწერა ტ. გ. შევჩენკომ 1843-1845 წლებში თავისი ხაწარმოებნი „ანდერძი“ და „კავკასიონი“.

ჰიტლერელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს პერეიასლავ-ხმელნიცკი, მაგრამ იგი აღადგინეს საბჭოთა ადამიანებმა, უკეთესი ქუჩები გაიყვანეს, უკეთესი სახლები ააგეს, უკეთესი პარკები გააშენეს მათ ამ ქალაქში. ცენტრალურ მოედანზე აღმართულია საბჭოების სახლის უზარმაზარი კოლონადებიანი შენობა. ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი, მაღაზია, საწარმო აშენდა ომისშემდგომ პერეიასლავ-ხმელნიცკში და უფრო მეტს ახლა აშენებენ.

ქალაქი, როგორც იტყვიან, ხარაჩოებშია. პერეიასლაველებს საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოსდით დახმარება ინჟინრებისაგან, არქიტექტორებისაგან, მხატვრებისაგან, მშენებელთა კოლექტივებისაგან. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები, ყველა საწარმოს კოლექტივი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს უკრაინის ამ ისტორიული ქალაქის აღდგენისა და კეთილმოწყობის საქმეში. კიევიდან და ლენინგრადიდან აქ ჩამოვიდნენ სახელგანთქმული არქიტექტორები ამხ. კატონინი და მიზინი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პერეიასლავ-ხმელნიცკის საბჭოების სახლის შიგნითა გაფორმებაში, დაეხმარნენ შენობის მომპირკეთებლებს შენობის მხატვრულად მორთვა-მოკაზმვაში.

პერეიასლავ-ხმელნიცკის მშენებლობებზე შეხვდებით რუს და ბელორუს მშენებლებს, ხახავთ შენობების შიგნით მოსაპირკეთებლად საქართველოდან გამოგზავნილ ფერად მარმარილოს. აქ მუშაობს ბელორუს მშენებელთა სახელოვანი ბრიგადა, რომელსაც ალექსანდრე პეტრეს-ძე ფილიპკოვი ხელმძღვანელობს. ამ. ბრიგადას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. ყოველ ცვლაში ბრიგადა სამ ნორმას ასრულებს. ასევე კარგად მუშაობს რუს მშენებელთა ის ბრიგადა, რომელსაც იოსებ კოვალიოვი ხელმძღვანელობს.

ქალაქი პერეიასლავ-ხმელნიცკი ამავე სახელწოდების რაიონის ცენტრია: ამ რაიონში ახლა მუშაობს 400 ტრაქტორი და 115 კომბაინი. ეს ტრაქტორები გამოგზავნილია სტალინგრადიდან და ჩელიაბინსკიდან, ხოლო კომბაინები ალტაიდან და ვლადიმირიდან.

საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება და ძლიერდება. ეს მეგობრობა გამოსახულებას პოულობს დიად სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღებულია მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეებს, მეშახტეებს, მაღაროელებს, მშენებლებს, რკინიგზელებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკებს შორის. პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონის კოლმეურნეები ახლა ეჯიბრებიან მოსკოვის ოლქის მოჟაისკის რაიონის კოლმეურნეებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონში ცხოვრობს და მოღვაწეობს საბჭოთა კავშირში ცნობილი მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ელენე სიმონის ასული ხობტა, რომელიც ჩაბმულია ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მოჟაისკის კოლმეურნეობის „მაისის დილას“ მერგოლურთან ეკატერინე ნიკოლოზის ასულ ოვსიეკოთან და ბოროდინოელ მერგოლურთან, სოციალისტური შრომის გმირთან აგაფია პეტრეს ასულ ერმაკოვასთან. მოჟაისკელი კოლმეურნეები ხშირად მოდიან სტუმრად პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონში. აქედანაც ხშირად მიდიან კოლმეურნეები მოჟაისკის რაიონში და ასე სისტემატურად უზიარებენ დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლები — მოჟაისკელი კოლმეურნეები თავიანთ გამოცდილებას მომძმე უკრაინელ კოლმეურნეებს.

მოჟაისკელ და პერეიასლაველ მშრომელთა შეჯიბრება უკვე გადაიზარდა ამ ორი რაიონის საერთო შეჯიბრებად, მტკიცე, ურღვევ მეგობრობად. ამას წინათ მოჟაისკელებს თავიანთი მიღწევები უჩვენა პერეიასლავ-ხმელნიცკის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდმა, რომელიც იქ ჩავიდა. განსაკუთრებით მოეწონათ მოჟაისკელ კოლმეურნეებს უკრაინული ხალხური სიმღერა „პერეიასლავის ზარები რეკენ“, სადაც ნათქვამია:

მოსკოვთან სამი საუკუნის,
სამასი წლის მეგობრობის
ერთგულია უკრაინა.
იდიდე, იდიდე მარად რუსეთო,
უკრაინა მუდამ შენთან არის...

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს და თავდადებით განაგრძობენ ბრძოლას კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებისათვის.

ბოგდან ხმელნიცკის სახელობის კოლმეურნეობამ თავის მეზობელთან — მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობასთან ერთად სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად დაამთავრა მდინარე ტრუბეჟზე საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის აგება. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფელი სომკოვა დოლინა, სადაც დაიბადა ბოგდან ხმელნიცკის მეუღლე განა უსიკი) საშუალოდ ყოველ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 2.330 ლიტრი რძე. მიჭოიანის სახელობის კოლმეურნეობაში ერთმა საფურაქე ძროხამ (ამ ძროხას „კუკლას“ ეძახიან), რომელსაც მწველავი ეფროსინე დემიდენკო უვლის, 10.000 ლიტრი რძე მოიწველა, ხოლო მეღორეობის ფერმის მუშაკებმა ევდოკია ჟვაჩკომ და მარიამ ფენკომ ვოროვსკის სახელობის კოლმეურნეობაში თითო დედაღორის ნამატისაგან შეინარჩუნეს და გაზარდეს ოცი-ოცდახუთი გოჭი.

პერეიასლავ-ხმელნიცკში არის მუზეუმი, სადაც დაცულია ამ ისტორიული ქალაქის მთელი წარსულის დამახასიათებელი დოკუმენტები. საბჭოთა ადამიანები მოწიწებით ათვალიერებენ ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან უკრაინის და კერძოდ პერეიასლავ-ხმელნიცკის განთავისუფლების დროის ექსპონატებს. აი ფურცელი, რომელზეც აღბეჭდილია პერეიასლაველებისადმი საბჭოთა არმიის მებრძოლების მიმართვის სიტყვები:

„საბჭოთა არმია დნეპრს მიადგა! მალე ბოლო მოეღება ჩვენი სამშობლოს უძველესი ქალაქის პერეიასლავის მცხოვრებთა წამებას. მდინარე დნეპრი, რომელიც აერთებს რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას, გადაშლილია ჩვენს თვალწინ და საბჭოთა ადამიანების სისხლით შეღებილი მისი ტალღები ჩვენს მებრძოლებს შურისგებისაკენ მოუწოდებენ....“

მუზეუმში დაცულია მრავალი ძვირფასი რელიკვია — პერეიასლავის რადის მუშაობის ოქმები, დოკუმენტები, იმ დროის იარაღის ნიმუშები, ბოგდან ხმელნიცკის ხმალი და მახვილი... მოდიან აქ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, მოწიწებით ათვალიერებენ მუზეუმის ექსპონატებს და სიამაყის გრძნობით აღსავსენი ტოვებენ მუზეუმის დარბაზებს.

არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს დიადი კომუნისტური პარტიის მიერ შედუღაბებული საბჭოთა ხალხის ერთიანობის გატეხა.

ოლღა კალინოვსკაია.

ქ. პერეიასლავ-ხმელნიცკი.
მარტი.

აღბანეთის სახალხო საბჭოების არჩევნები

ტირანა, 15 მარტი. (საკდესი). ალბანეთის ქალაქებისა და ოკალიტეტების სახალხო საბჭოების გუშინდელი არჩევნების შედეგების წინასწარი ცნობებით, სხვადასხვა ქალაქსა და ოკალიტეტში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების 99,7 პროცენტიდან (შპატი, დელვინა და სხვ.) 100 პროცენტამდე (პეკინი, ტეპელენა, ლეში და სხვ.).

დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს ხმების 99 პროცენტიდან (კრუია) 100 პროცენტამდე (პეკინი, ტეპელენა, პროგონატი).

ამერიკის შეერთებული შტატების ხრიკები ირანში

თეირანი, 16 მარტი. (საკდესი). ჟურნალი „თარაკი", ეხება რა ამერიკელი გენერლების გრუვერისა და ბიტჩერის მოგზაურობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ისინი ჩამოვიდნენ თეირანში მნიშვნელოვანი მოლაპარაკებისათვის". თავისი ჩამოსვლის დღეს გრუვერი შეხვდა ირანში ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის უფროსს მაკლიერს, ირანის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლებს და „მას შემდეგ, რაც დაწვრილებით გაეცნო ამერიკის სამხედრო მრჩეველთა საქმიანობას და ირანის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, გაფრინდა დაჰრანში" (საუდის არაბეთი).

თურქეთის და სხვა მეზობელი ქვეყნების პრესა, წერს ჟურნალი, ფიქრობს, რომ „ეს მოგზაურობა დაკავშირებულია თურქეთსა და პაკისტანს შორის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერასთან, აგრეთვე ეგვიპტესა და სირიაში ამასწინანდელ ცვლილებებთან და რომ საიდუმლო მოლაპარაკება თეირანში გამოიწვევს ირანის შეერთებას თურქეთ-პაკისტანის სამხედრო ხელშეკრულებასთან. თეირანის პოლიტიკურ წრეებში ამერიკელი გენერლების მოგზაურობას უკავშირებენ ირანის არმიის გაძლიერების ახალ გეგმებს".

იმოწმებს რა უცხოეთის საგენტოების ცნობებს, ჟურნალი იუწყება, რომ ამერიკის „სამხედრო დახმარება ირანს მომავალ წელს გაუდიდდება ორ-სამჯერ წინა წლებთან შედარებით". შემუშავებული გეგმების თანახმად, ირანის არმიის რაოდენობა „ორი წლის მანძილზე 100 ათასიდან გაიზრდება 350 ათასამდე, ხოლო ჟანდარმერიის რაოდენობა — 10 ათასიდან 25 ათასამდე".

გაზეთი „არამიც" აღიარებს, რომ „წარმოუს მზადება შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი (სამხედრო — **რედ.**) კავშირის შექმნისათვის ირანისა და არაბთა ქვეყნების მონაწილეობით".

ეგვიპტური გაზეთი ერაყისა და არაბთა სხვა ქვეყნების ურთიერთობის შესახებ

კაირო, 15 მარტი. (საკდესი) პრესა იუწყება, რომ ერაყის მთავრობამ გაიღაშქრა ბაღდადში არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს მორიგი სესიის მოწყობის წინააღმდეგ. ეს სესია უნდა გახსნილიყო ამა წლის 31 მარტს.

ამ გადაწყვეტილებას კომენტარს უკეთებს კაიროს „გაზეთი „ალ-გუმხურია" და წერს: ერაყის მთავრობა ეშინია, რომ ამ სესიაზე არაბთა ზოგი ქვეყანა, და პირველ რიგში ეგვიპტე, აღძრავს საკითხს თურქეთ-პაკისტანის პაქტთან ერაყის შეერთების შესახებ და რომ ამას შეუძლია მეტად არახელსაყრელი ეფექტი მოახდინოს ერაყში.

ერაყელი ხალხი, წერს გაზეთი, არ იწონებს ერაყის შეერთებას ამ პაქტთან და ამ ხელშეკრულების განხილვა ლიგის საბჭოს სესიაზე ბაღდადში ერაყის მთავრობას მეტად ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

ქარიშხალი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ შტატებს ქარიშხალმა გადაუარა. მოკლულია 8 კაცი. ზარალი მილიონობით დოლარით აღირიცხება. ვეირგოის შტატში სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაზიანდა 55 თვითმფრინავი.

საგჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ინახულა ი. ბ. სტალინის სახელოგის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობა ვარშავაში

ვარშავა, 15 მარტი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის II ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. ე. ავხიმოვიჩი, გუშინ ინახულა მშენებლობა ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლისა, რომელიც ვარშავაში შენდება სსრ კავშირის ძალებითა და სახსრებით.

მშენებლობის დათვალიერების დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ახლდნენ: სასახლის მშენებლობის სამმართველოს უფროსი გ. ა. კარავაევი და პოლონეთის მთავრობის რწმუნებული სასახლის მშენებლობის საქმეებზე, ვარშავის მთავარი არქიტექტორი ი. სიგალინი.

საფრანგეთის გაზეთები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

პარიზი, 15 მარტი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი იუწყება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, აღნიშნავს რა ამომრჩეველთა განსაკუთრებულ აქტივობას.

გაზეთი „ფრან-ტირერი" წერს, რომ არჩევნები საბჭოთა კავშირში ერთგვარი ეროვნული დღესასწაულია. გაზეთი „კომბა" აღნიშნავს, რომ დასავლეთის ჟურნალისტებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად შესულიყვნენ საარჩევნო უბნებში, სადაც ისინი იღებდნენ პასუხს თავიანთ შეკითხვებზე.

გაზეთ „ლიბერასიონს" მოჰყავს ამონაწერები სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებიდან. იგი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გუშინ არჩევნები მიმდინარეობდა სადღესასწაულო ატმოსფეროში და საბჭოთა მოქალაქეების დიდი აქტივობით.

„საბჭოთა ადამიანები, — წერს გაზეთი „ლუმანიტე", — საარჩევნო უფლებით სარგებლობენ განურჩევლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, განათლებისა, საცხოვრებელი ადგილისა, სოციალური წარმოშობისა, მატერიალური მდგომარეობისა და მათი წარსული საქმიანობისა.

სსრ კავშირში კანონი ამომრჩევლებს ყველა პირობას აძლევს იმისათვის, რომ გამოიყენონ თავიანთი უფლებები".

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ჩაებან ერაყი ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკში

სტამბოლი, 16 მარტი. (საკდესი). თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს — ჩააბან ერაყი და არაბთა სხვა სახელმწიფოები, აგრეთვე ირანი ახალ აგრესიულ ბლოკში, რომელსაც ისინი აკოწიწებენ და რომლის საფუძველი უნდა იქნეს პაკისტან-თურქეთის სამხედრო კავშირი.

გაზეთი „ისტანბული" აღნიშნავს, რომ აკოწიწებენ რა სამხედრო ბლოკს, ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. „ამერიკის დიპლომატიას, — წერს გაზეთი, — დიდი იმედი აქვს, რომ თურქეთისა და პაკისტანის მხარეზე გადაბიბრებს აგრეთვე ერაყს და შესაძლოა ირანსაც".

ლიბანის ბევრი გაზეთი და, კერძოდ, „ალ-ჯარიდა" და „ორიანი" იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის წარმოებს ფარული მოლაპარაკება ერაყისათვის ამერიკის იარაღის მიწოდების შესახებ. ინგლისი თითქოს ამ მოლაპარაკების კურსშია.

ერაყის მეფის ფეისალ II-ის კარაჩში გგზგზავრებასთან დაკავშირებით ვაშინგტონის პასუხისმგებელ წრეებს, როგორც ეს გაზეთები ამტკიცებენ, უდავოდ მიაჩნიათ, რომ ერაყი შეუერთდება პაკისტან-თურქეთის სამხედრო კავშირს. გაზეთები აგრეთვე წერენ, რომ ამერიკის ამავე წრეების წარმომადგენლებს „აფიქრებთ" ის, თუ როგორ შეუერთონ ამ დაჯგუფებას სირიაც. ისინი, გაზეთების სიტყვით, კვლავ იმ აზრისა არიან, რომ ეგვიპტემ უნდა ითანამშრომლოს პაკისტანთან და თურქეთთან.

ერაყის მეფის პაკისტანში გამგზავრების გამო

ბეირუთი, 15 მარტი. (საკდესი). ერაყის პრესა გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მეფე ფეისალის გამგზავრებას პაკისტანში. სხვა ოფიციალურ პირთა შორის მეფეს თან ახლავს ნური საიდი — ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჟამად სენატორი, პარტია „კონსტიტუციური კავშირის" ლიდერი. მის მიერ 9 მარტს გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადება საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, გაზეთების აზრით, ამტკიცებს პაკისტანში ერაყის დელეგაციის გამგზავრების მიზნებს. განაცხადა რა, რომ თურქეთ-პაკისტანის ბლოკი „უველზე ძლიერი ბლოკია შუა აღმოსავლეთში მთელი ახალი ისტორიის მანძილზე", ნური საიდმა აღნიშნა, რომ „ამ პირობებში" ერაყის მთავრობამ გადაწყვიტა მოეთათბიროს პაკისტანის, არაბთა და მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს.

ნური საიდის ამ განცხადებას ერაყის პრესა აფასებს როგორც იმის აღიარებას, რომ ერაყის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს თურქეთ-პაკისტანის სამხედრო ბლოკში შესვლის პირობების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ერაყის საზოგადოებრიობა გადაჭრით ილაშქრებს თურქეთ-პაკისტანის კავშირში ერაყის შეყვანის გეგმების წინააღმდეგ. მაგალითად, გაზეთი „საუტ ალ-ახალი" მოწონავე სტატიაში წერს: „ხალხი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მეფე ფეისალის გამგზავრებას პაკისტანში და საჭირო მომენტში ხელს შეუშლის ამ გეგმის განხორციელებას...". გაზეთი „ლივა ალ-ისტიკლიალი" აღნიშნავს, რომ „თურქეთ-პაკისტანის ბლოკში ერაყის ჩაბმის ყოველგვარ ნაბიჯს ერაყელი ხალხი შეხვდება ისევე, როგორც ერთ დრო შეხვდნენ პორტსმუტის ხელშეკრულებას". (ბეირუთის ბორტსმუტში 1948 წელს ხელმოწერილი ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომელიც ერაყისათვის კაბალური იყო და ჩაშლილ იქნა ხალხის აღშფოთების შედეგად. — **რედ.**).

წყალდიდობა ავღანეთში

ქაბული, 14 მარტი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ძლიერი ხანგრძლივი წვიმების შედეგად ნაპირებიდან გადმოვიდა მდინარეები გილენდი, ჰაშრუდი და ფერაჰრუდი. ქალაქ ჩეჰანსურის რაიონში წყლით დაფარულია 79 სოფელი და ნათესები. 15 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

მდგომარეობა სუეცის არხის ზონაში

კაირო, 15 მარტი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ სუეცის არხის ზონაში მდგომარეობა გაუწავდა. უკანასკნელ დროს გახშირდა ინციდენტები, რომლებსაც, როგორც გაზეთები წერენ, პროვოკაციულად იწვევენ ინგლისის საოკუპაციო ჯარები.

12 მარტს ინგლისელმა ჯარისკაცებმა ქალაქ ფაიდიში (სუეცის არხის ზონა, შუა აღმოსავლეთსა და სუეცის არხის ზონაში ინგლისის შეიარაღებული ძალების შტაბის ადგილსამყოფელი. — **რედ.**) მოკლეს ეგვიპტის პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ფარიდ ჰასან ნადი, რომელმაც სცადა გამოსარჩლებოდა ორ ეგვიპტელ მუშას, რომლებსაც ინგლისელი ჯარისკაცები სცემდნენ.

როგორც გაზეთმა „ალ-მისრიმ" გამოაცხადა, იმავე დღეს მძიმედ დაჭრეს ორი ეგვიპტელი მუშა ინგლისის ფაიიდის სამხედრო ბანაკში და მოკლეს ახალგაზრდა ეგვიპტელი დაბა ფანარაში.

გაზეთი „ალ-აჰბარი" აღნიშნავს, რომ ინგლისის სარდლობამ უკანონოდ დაიწესა 4 ახალი საპოლიციო-საკონტროლო პუნქტი იმ გზაზე, რომელიც სოფელ მახასნიდან ტელ ელ-კებირის ბანაკისკენ მიდის. პოლიციელებს განკარგულება მიეცათ გაჩხრიკონ ამ რაიონში ყველა ძაღლანა და გამვლელი.

ბონელ რევანშისტთა საქმიანობის აქტივიზაცია ავსტრიაში

ვენა, 15 მარტი. (საკდესი). დემოკრატიული პრესის ცნობებით, ზალცბურგში გაიმართა ჰიტლერული არმიის ყოფილ ავსტრიელ ტანკისტთა საიდუმლო კრება.

კრება მიმდინარეობდა დასავლეთგერმანელი პოლკოვნიკის შვარცროკის — დივიზია „დიდი გერმანიის" სატანკო გრენადერთა პოლკის ყოფილი მეთაურის თავმჯდომარეობით. კრების მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს ავსტრიაში შექმნან „ყოფილ ტანკისტთა ტრადიციული კავშირი". კავშირის ხელმძღვანელად არჩეულია ვინმე გერმანი. ორგანიზაციულად კავშირი ისევე ეწყობა, როგორც ამგვარი სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაციები დასავლეთ გერმანიაში. იგი შედგება სექციებისაგან, რომლებმაც უნდა გაერთიანონ ყველა ყოფილი ავსტრიელი ტანკისტი. ყოველ სექციაში იქმნება ადგილობრივი ჯგუფები.

ხელმძღვანელობა ავსტრიის კავშირისადმი უნდა განახორციელოს დასავლეთ გერმანიის „ყოფილ ტანკისტთა კავშირმა".

მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას სპეციალური კავშირგამბულობის სასაზღვრო პუნქტი, რომლითაც დამყარდება ურთიერთობა ავსტრიელ და დასავლეთგერმანელ ჰიტლერელთა შორის და ავსტრიიდან დასავლეთ გერმანიაში გადაცემა საჭირო ცნობები და მასალები.

პოლკოვნიკმა შვარცროკმა ყოფილი ავსტრიელი ტანკისტები მიიწვია მონაწილეობა მიიღონ ჰიტლერელ ტანკისტთა კრებაში, რომელიც წელს გაიმართება დასავლეთ გერმანიაში. მან განაცხადა, რომ ამ „შეხვედრის" ორგანიზატორები იკისრებენ მთელ ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია ამ კრებაში ყოფილ ავსტრიელ ტანკისტთა მონაწილეობასთან.

დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ავსტრიის გარკვეული წრეები იწონებენ ასეთი კრებების მოწყობას, რომლებსაც ბონელ რევანშისტთა ინიციატივით იწვევენ.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ

პარიზი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, გუშინ მთელ საფრანგეთში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. ქალაქ ნანსში ომის მსხვერპლთა ძეგლებთან შეიკრიბა 3 ათასი მცხოვრები. მათ ძეგლები გვირგვინებით შეამკეს და ამით სიმბოლურად დაგმეს შეიარაღების პოლიტიკა ბონელ რევანშისტებისა, რომლებიც ახალ ომზე ოცნებობენ. ქალაქ ორლეანში გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო 500 კაცმა, მათ შორის კომუნისტების, სოციალისტებისა და დეგოლელების ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ომის მსხვერპლთა ძეგლების გვირგვინებით შემკობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოხდა გუშინ პარიზის ბევრ რაიონში, დედაქალაქის მუშათა გარეუბნებში, აგრეთვე ტარბში, ლიონში, გრენობლში, ჰავრსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების მფერთა ხრიკები

შანხაი, 16 მარტი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, ამ უკანასკნელ ხანს ლისინმანელებმა განაახლეს თავიანთი ცდები — შექმნან შორეულ აღმოსავლეთში „ანტიკომუნისტური ბლოკი".

15 მარტს ლისინმანელმა გენერალმა ცოი დუკ სინმა, რომელიც სამხრეთ კორეაში დაბრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოგზაურობიდან, სადაც იგი როგორც ლი სინ მანის „სპეციალური წარმომადგენელი" წყნარ ოკეანეში სამხედრო ბლოკის შექმნის „პერსპექტივებს სწავლობდა", განაცხადა, რომ „აპრილში სამხრეთი კორეა სეულში იწვევს შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ანტიკომუნისტური ქვეყნების კონფერენციას". ცოი დუკ სინმა განაცხადა, რომ ამ კონფერენციაზე მოწვეული არიან ფილიპინები, გომინდანური ჩინეთი, ტაილანდი, ლაოსისა და კამბოჯის მარიონეტული მთავრობები და ბაო დაის ვიეტნამი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შესაძლებელია კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს იაპონიამ.

როგორც ცნობებიდან ჩანს, „სეულის კონფერენციის" გამოცხადებული მიზანი ის არის, რომ „გაამაგროს ანტიკომუნისტური ბლოკი" და შეკრას „ანტიკომუნისტური კავშირი" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მომენტის შერჩევა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგეთა აქტივიზაციისათვის შემთხვევითი როდია, ის გარემოება, რომ „სეულის კონფერენციის" მოწვევა სპეციალურად განზრახულია აპრილის დამლევისათვის, ესე იგი სწორედ იმ დროისათვის, როცა გაიხსნება თათბირი ჟენევაში, ამხილებს ამ მანევრის აშკარად პროვოკაციულ ხასიათს.

სპორტის ამბები

ჩვენი ქვეყნის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში

ალმა-ატა, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ ალმა-ატის ახლოს დაბა ჩიმბულაკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრების უკანასკნელ დღის პროგრამაში იყო დიდი ჩქარასნული დაშვება: ვაჟებისათვის — 2.350 მეტრზე, ქალებისათვის — 2.000 მეტრზე.

ქალთა შორის საუკეთესო შედეგი — 1 წუთი და 57,2 წამი გვიჩვენა ე. სიდოროვამ. მას მიენიჭა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება. ვაჟთა შორის საუკეთესო დრო გვიჩვენა დინამოელმა ა. ფილატოვმა — 1 წუთი და 52,4 წამი.

გუნდური პირველობა შეჯიბრებაში სამთო-სათხილამურო სპორტში მოიპოვეს საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე არიან დინამოელები. მესამე ადგილი დაიკავეს საზოგადოება „სპარტაკის" სამთო მოთხილამურეებმა.

შეჯიბრება ს. მ. კიროვის სახელობის პრიზზე

კიროვი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება ს. მ. კიროვის სახელობის პრიზზე ცოგაურებით ჩქარასნულ რბენაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქების სპორტსმენები.

ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოველმა ლ. გორშკოვამ, ვაჟთა შორის — მოსკოველმა ა. კრასენოვმა.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 16 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა მე-11 ტური.

საბჭოთა ოსტატმა ნეიმეტინოვმა მოუგო რუმინელ ოსტატს ჩოკოლტიას, ხოლმოვმა მოუგო პარლის.

კლუგერი და ოკელი 23-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ტროიანესკუმ მოუგო შანდორს, შტალბერგმა—ვოიკულესკუს, ხოლო პახმანმა—სლეივს. ფურმან-ფილიპის, სპო-ვეიდის, კორჩნოი-ბელენელის პარტიები გადაიდო.

ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ს. �ფაფავრიძის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტის „ვეფხვისტყაოსანი" ახალ ადამას (ახალი მუსიკალური რედაქციით). ხელოვნების სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. კუკულაძე, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი. პრემიერა ნაჩვენები იქნება მარტის ბოლო რიცხვებში.

დასადგმელად მზადდება აგრეთვე უკრაინელი კომპოზიტორის კ. დანკევიჩის ახალი ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი". ლიბრეტო ეკუთვნით ა. კორნეიჩუკსა და ვ. ვასილევსკაიას. ამ დადგმის რეჟისორი — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი დ. სმოლიჩი უკვე შეუდგა მუშაობას. მხატვარია უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ზლოჩევსკი. სპექტაკლი ნაჩვენები იქნება მაისში — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმის დღეებში.

თეატრმა დაიწყო მუშაობა კომპოზიტორ ა. შაფერზაშვილის ახალ ოპერაზე — „მარინე", რომლის ლიბრეტოს ავტორია მ. ბარათაშვილი, დირიჟორია ზ. ხუროძე, მხატვრები—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაბაშვილი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა, რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ჩხარტიშვილი.

გროშურები გიგლიოთეკებისათვის

თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ ბიბლიოთეკამ მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად გამოსცა მეთოდიურ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ბროშურები. დღემდე გამოშვებულია 10 სახელწოდების ბროშურა — „პოლიტიკური სწავლების ლიტერატურის პროპაგანდა მასობრივ ბიბლიოთეკებში", „ლ. ნ. ტოლსტოი", „მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები", „რუსეთის და უკრაინის შეერთების 300 წლისთავი", ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ბროშურა — „ა. ს. გრიბოედოვი".

გარდა ამისა, დასაბეჭდად მომზადებულია უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს დაბადების 140 წლისთავის აღსანიშნავი ბროშურა — „ტარას შევჩენკო".

ი. ს. კვაჭაძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ანატომიის კათედრის გამგემ დოცენტმა ი. ოდი სოფლ-ძე კვაჭაძემ ყაზანის საკავშირო სავეტერინარო-ზოოტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ ი. ს. კვაჭაძე დაამტკიცა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხში და მიანიჭა მას პროფესორის სამეცნიერო წოდება.

საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

17 მარტს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა ლექციო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელთათვის თემაზე: „კომუნისტური პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი". ლექტორი ამხ. მ. სიხარულიძე.

17 მარტს საღამოს 8 საათზე შედგება სემინარი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის. სემინარის ხელმძღვანელია დოცენტი ვ. სიგუა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

17 მარტს	პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი**
18 მარტს	ჯ. როსინი— **სევილიელი დალაქი** (გოჰარ გასპარიანის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სირკი

დღეს
პროგრამის მთლიანად გამოცვლა
დიდი საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად
მონაწილეობენ **საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები**
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და პლეხანოვის პროსპ. № 92, რუსთაველის პროსპ. № 1 და 24, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. სალაროები ღიაა დღის 12 საათიდან, კვირაობით დილის 10 საათიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წლის 31 მარტს დღის 3 საათზე აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული) **ლია ერემიას ასული ავალიშვილი** დაიცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ოზეენის არასტაციონარული სასაზღვრო ამოცანა".**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **დ. კვესელავა**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. რუხაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, მესამე სართული).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატი თავის სამოსაგზრიშო-საბუხალტრო სკოლაში (ქ. ბათუმი), ფილიალებში (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, თელავი) და სასწავლო პუნქტებში (სტალინირი, ფოთი, გორი, მახარაძე და სილაღი) საწარმო-დაწესებულებათან ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მოანგარიშეების, ბუხჰალტრების და უფროსი ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

საწარმოებსა და დაწესებულებებთან იხსნება აღრიცხვის ჟურნალურ-ორდერული ფორმის შესწავლის სპეციალური სემინარები.

მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მოსამზადებელ კურსებზე მსურველნი მიიღებიან ინდივიდუალური წესითაც.

ხელშეკრულებათა დადება და განცხადებათა მიღება გრძელდება. ცნობების გაცემა წარმოებს სათანადო ფილიალებსა და სასწავლო პუნქტებში.

თბილისში ცნობები გაიცემა დილის 9 საათიდან 5 საათამდე, ძერჟინსკის ქ. № 22, ტელეფონი № 3-31-01, საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, საბჭოს ქ. № 275.

ა. წ. 10 მარტიდან **ქალაქ თბილისის და გარეუბნის კავშირგაბმულობის განყოფილებებში** დაწესებულია ამანათების მიღება წონით 12 კილოგრამამდე, ხოლო განყოფილი შიგნადებით 20 კილოგრამამდე. შეფუთვის არსებული წესი უცვლელი რჩება.

ფოსტამტის ადმინისტრაცია.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში
(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ჰაიტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — უფსკრულთან, **გრიბოედოვის სახელობის** — გვარის ნუ დავსახლებენთ, **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონემენტი № 40, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—ცხოვრების ფერადი (4 ს.), **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე, **თოჯინების ქართული** — ხაფანგში (10 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ახალი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ბატონი ტაქსი, **ამირანი** — მშვიდობისა და მეგობრობისათვის, **თბილისი** — დუნაის შვილი, **კომკავშირელი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — რუსული ბალეტის ოსტატები.

მოქალაქე **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე საყურაშვილმა**, ფცხოვრებმა დიღუბის მე-2 შესახვევი № 17, აღძრა საქმე აგურის გორა № 28 მცხოვრებ მოქალაქე **ვერა ეფრემის ასულ ჩერნეგავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ქ. თბილისის სტალინის რაიონის მე-7 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნინო იაკობის ასულმა გახოკიძემ**, მცხოვრებმა დიღუბის მე-2 შესახვევი № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **შალვა მელიტონის-ძე გახოკიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-7 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ ბესარიონის-ძე** ნანეიშვილის გარდაცვალებას.

შ. ლეკვაა, ი. პავლიაშვილი, ნ. სხვიტარიძე, ი. გულუხია, მ. მინასაშვილი, თ. ხელაძე, ვ. ბოლქვაძე, ვ. მასალკინი, ვ. ხვიჩია, ი. ფალავანდიშვილი, ა. რიეინაშვილი, მ. ჩხარტიშვილი იუწყებიან მთავარი ბუხჰალტრის **ტარასი კონსტანტინეს-ძე უჩანეიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვენერა, შვილები ჯემალ, მზია გეთიები იუწყებიან **მიხეილ სოლომონის-ძე გეთიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-III, 5 ს. ქ. ზუგდიდში. გამოსვენება თეატრის ქ. № 7.

და ფუცუ, სიძე ტროფი, დისწულები კუკურა, ვალიკო, ნორა, რძალი მერი შვილთ ნუნუთა მატუნგი იუწყებიან **მიხეილ სოლომონის-ძე გეთიას** გარდაცვალებას.

მეუღლე გიორგი, შვილი მუზა, და ნატალია, ძმა ვლადიმერ, დისწულები ელენე, თამარ, ძმისწულები თინა, თამარ, ლეო, გიორგი იუწყებიან **ნინო ივანეს ასულ ხარატი-ფილიპეს** გარდაცვალებას. პანაშვიდი